პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

პარასკევი, 5 მაისი, 1950 წ. № 92 (8652). ფასი 20 კაპ.

დღეს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეა.

ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვას მშრომელთა ფართო მასებში მუდამ შეჰქონდა და შეაქვს ლენინ-სტალინის დიადი იდეები, რაზმავს მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის აშენებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

სალამი ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს — საბჭოთა პრესის მუშაკებს, მუშკორებსა და გლეხკორებს!

დიდება ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

ბოლშევიკური პრესა ახალი ამოცანების წინაშე

დღეს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეა.

ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე არა მარტო პრესის მუშაკთა, არამედ მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. ჩვენი პრესა მთელ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული პრესაა, რომლის მთელი მუშაობა მშრომელთა ფართო მასების უაქტიურეს მონაწილეობას ეყრდნობა. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა შეიჭრა ჩვენი უზარმაზარი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხეში და ღირსეულად ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის თავის პასუხსაგებ როლს.

ჩვენი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მიღწევები განუყრელად დაკავშირებულია სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის ძლევამოსილ ბრძოლასთან, ჩვენი ქვეყნის იმ უდიდეს გამარჯვებათა შედეგებთან, რაც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი დიად სტალინურ კონსტიტუციაში.

მხოლოდ საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში არის გარანტირებული მშრომელთათვის სიტყვისა და პრესის ნამდვილი, ჭეშმარიტი თავისუფლება. კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს წარმოუდგენელია. იქ მსხვილი კაპიტალისტებისა და მონოპოლისტების ხელშია დიდი სტამბები და გაზეთები. იქ გაზეთები ყოველივე დემოკრატიულისა და პროგრესულის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღია, მშრომელთა მილიონიანი მასების მოტყუებისა და გაბრიყვების იარაღია. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მმართველი წრეები ყოველგვარ თავისუფლებას ანიჭებენ ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლებს, ყველა ჯურის ავანტურისტებსა და დემოკრატიის მტრებს. სამაგიეროდ იქ დევნიან პროგრესულად მოაზროვნე და მშვიდობისათვის მებრძოლ ადამიანებს.

საბჭოთა პრესა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესა ნიღაბს ხდიან იმპერიალისტთა აგრესიულ გეგმებს, სამარცხვინო ბოძზე აკრავენ მშვიდობისა და პროგრესის მტრებს, ააშკარავებენ ბურჟუაზიული კულტურის მთელ სიდამპლეს.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ძალა მისი განვითარების მთელ მანძილზე ის არის, რომ ის განუხრელად ასრულებს ლენინისა და სტალინის მითითებებს, მტკიცედ ახორციელებს პარტიულ ხაზს, შეუნელებლად იბრძვის პარტიისა და მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ, უმტკიცესი კავშირი აქვს ხალხთა მრავალმილიონიან მასებთან. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ეს შესანიშნავი თვისებანი განსაკუთრებით ნათლად მოჩანს ლენინურ-სტალინური „პრავდის“ სახელოვანი მოღვაწეობის მთელ მანძილზე.

„პრავდა“, რომლის გამოცდილებაზეც სწავლობს მთელი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური პრესა, დააარსეს ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა. „პრავდის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 მაისს. ყოველდღიური მასობრივი ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“ ბოლშევიკური პარტიის ხელში წარმოადგენდა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და მასებზე გავლენის მოპოვების მძლავრ საშუალებას. აღნიშნავდა რა „პრავდის“ როლს, ამხანაგი სტალინი წერდა: „1912 წლის „პრავდა“ — ეს საძირკვლის ჩაყრაა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს“.

ბოლშევიკურმა პრესამ შესანიშნავი გზა განვლო. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ბოლშევიკური პრესა მუდამ იყო და არის ლენინ-სტალინის პარტიის მძლავრი იარაღი, მებრძოლი კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი. „ბეჭდვითი სიტყვა ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის შემწეობითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს თავისი, მისთვის საჭირო ენით“ (სტალინი).

მაღალი იდეურობა, პარტიულობა, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების ნამდვილად მეცნიერული ახსნა, უაღრესად მჭიდრო კავშირი ხალხთან — ეს არის ბოლშევიკური პრესის ტრადიცია. იგი მშრომელებს ზრდის ლენინ-სტალინის იდეების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დიად ამოცანას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, ლენინ-სტალინის დიადი იდეების პროპაგანდას. ამ საქმეში დიდია ჩვენი პრესის როლი. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მოვალეობაა განუხრელად გააუმჯობესონ კომუნიზმის დიადი იდეების პროპაგანდის საქმე, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმე.

ჩვენს პრესას უდიდესი ამოცანები აკისრია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ცხოვრება გაზეთებისაგან მოითხოვს, რათა ისინი უფრო ფართოდ, სრულყოფილად აშუქებდნენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, განაზოგადებდნენ და ნერგავდნენ შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილებას, ეწეოდნენ წარმოების საუკეთესო მეთოდების პოპულარიზაციას, უფრო ხშირად აწყობდნენ სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანთა გამოსვლებს სტატიებითა და წერილებით გაზეთების ფურცლებზე. საჭიროა ყველა ჩვენი ადგილობრივი გაზეთი უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოს მასების თაოსნობასა და ინიციატივას, ხელი შეუწყოს მასების შრომითი აღფრთოვანების გაძლიერებას, სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას.

უკანასკნელ დროს ჩვენი რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები ფართო ადგილს უთმობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას. ამ მხრივ საყურადღებოა საოლქო გაზეთები „საბჭოთა აჭარა“, და „სოვეტსკაია აბხაზია“, საქალაქო გაზეთები „ინდუსტრიული ქუთაისი“ და „ჭიათურის მაღაროელი“, რაიონული გაზეთები „ლენინის დროშა“ (მახარაძე), „ავანგარდი“ (ცხაკაია), „ლენინური გზით“ (ყვარელი) და სხვ. მაგრამ ყველა გაზეთზე ეს არ ითქმის. ჯერ კიდევ არიან გაზეთები, სადაც სუსტადაა დაყენებული სტახანოველების, განსაკუთრებით კი მოწინავე საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, საამქროებისა და ბრიგადების დადებითი გამოცდილების პოპულარიზაცია. ეს არის მათი ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

საჭიროა ამაღლდეს გაზეთებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე. გაზეთებს ამ მხრივ არ შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი როლი, თუ მათ მჭიდრო კავშირი არა აქვთ მასებთან, თუ ისინი დაკავშირებული არ არიან ავტორთა აქტივთან, მასებთან, ავტორთა აქტივთან მჭიდრო კავშირი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს გაზეთის თემატიკის მრავალფეროვნებას, მის ფურცლებზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, რაც დაეხმარება ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმარონ და ხელი შეუწყონ გაზეთების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამასთან ისინი მხარს უნდა უჭერდნენ გაზეთებში მუშკორებისა და სოფლკორების კრიტიკულ გამოსვლებს. ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები დაუნდობლად უნდა ებრძოდნენ გაზეთებში კრიტიკული შენიშვნებითა და კორესპონდენციებით გამოსვლისათვის მუშკორებისა და სოფლკორების დევნის მცირეოდენ გამოვლინებებსაც კი. „ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საჭიროა ვაწარმოოთ ულმობელი ბრძოლა თვითკრიტიკის ჩახშობისა და დევნის ფაქტებთან. თვითკრიტიკის დევნა, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—ნიშნავს პარტიული ორგანიზაციის ყოველგვარი თვითმოქმედების ჩაკვლას, პარტიულ მასებში ხელმძღვანელობის ავტორიტეტის შელახვას, პარტიის გახრწნას და პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში ბიუროკრატების, პარტიის დაუძინებელი მტრების ანტიპარტიული ზნე-ჩვეულების დამკვიდრებას“ (გ. მალენკოვი).

3 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი სესხის გამოშვების შესახებ. საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სესხის გამოშვებას და აღფრთოვანებით აძლევენ სახელმწიფოს სესხად თავიანთ შრომითს დანაზოგს. ჩვენი გაზეთების ამოცანაა განუმარტოს მასებს სესხის მნიშვნელობა, მისი პირობები და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ახალი სესხის ფართოდ გავრცელებას მშრომელთა შორის.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებს, ყველა გაზეთს მოეთხოვებათ კვლავაც თავდადებულად იბრძოლონ პრესის წინაშე ბოლშევიკური პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა ღირსეულად შესრულებისათვის, ფართოდ აჩვენონ საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური წარმატებანი, გაბედულად ამხილონ ნაკლოვანებანი, გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება, წინ წასწიონ ჩამორჩენილები.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ბოლშევიკური პრესა ფართო აქტივზე დაყრდნობით, ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კვლავაც იდგომება თავისი ამოცანების დონეზე და მშრომელთა ფართო მასებს შემდგომშიც აღაფრთოვანებს თავდადებული გმირული შრომისათვის სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ვასილიევის ნახატიდან. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალი სესხის გავრცელება საქართველოში წარმატებით გრძელდება

★ ★ ★

საქართველოს რაიონებსა და სოფლებში

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

ზუგდიდი

რაიონში ახალ სესხზე ხელმოწერის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან სოციალისტური შრომის გმირები, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები. ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში დიდ თანხებზე ხელმოწერით პირველი მაგალითი მისცეს სოციალისტური შრომის გმირებმა ანთიმოზ როგავამ, თამარ ყუფუნიამ და ვენერა ყუფუნიამ. ასევე იყო სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც სოციალისტური შრომის გმირის იროდი ქანთარიას მოწოდებით ყველა კოლმეურნემ ერთსულოვნად მოაწერა ხელი ახალ სესხს.

სესხზე ხელმოწერის თანხები კოლმეურნეებს ნაღდად შეაქვთ.

თელავი

საწარმოებსა, დაწესებულებებსა, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის არტელებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ახალ სესხზე ხელმოწერა მასობრივად გაჩაღდა. ბევრგან ხელმოწერა ძირითადად პირველ დღესვე დამთავრდა.

სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში“, ნაფარეულის, წინანდლის, იყალთოს, კურდღელაურის და კისისხევის კოლმეურნეობებში, აგრეთვე წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში მოწინავე ადამიანებმა—გ. ძამუკაშვილმა, ა. ლოქაფიშვილმა, ს. ძამუკაშვილმა, სოციალისტური შრომის გმირებმა დავით და რევაზ სავანელებმა, ი. ბოლქვაძემ, ბ. ბატიაშვილმა და სხვებმა ახალ სესხს საგრძნობლად დიდი თანხის რაოდენობით მოაწერეს ხელი.

ზესტაფონი

რაიონის საწარმოთა კოლექტივები, აგრეთვე საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას.

— მზად ვართ სესხად მივცეთ მშობლიურ სახელმწიფოს ჩვენი დანაზოგი თანხები, რომლებიც მოხმარდება ჩვენი ცხოვრების შემდგომ გაუმჯობესებას, — ამბობენ კოლმეურნეები.

სესხზე ხელმოწერა ყველგან უმაგალითო წარმატებით მიმდინარეობს.

სამშობლოს საკეთილდღეოდ

ახალი სესხის გამოშვების გამო თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში გამართულ სახელდახელო მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სამღაზგოსანმა მქსოველმა, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვებმა ეთერ სოლომონიამ.

— ახალი სესხით ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო განამტკიცებს თავის ძლიერებას. მე არ მეგულება არცერთი ჩვენს შორის, ვინც თავის შრომითს დანაზოგს სიამოვნებით არ ასესხებს სახელმწიფოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს და სესხზე ხელმოწერის მზადყოფნა გამოთქვეს სტახანოველმა მჩითავემ გ. პანოვამ, მემასრე ე. სოლოღაშვილმა, მქსელავმა ლ. ციცქიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ბარათაშვილმა, სტახანოველმა მქსოველმა მ. გაგოშიძემ.

მიტინგის დამთავრებისთანავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ერთსულოვნად შეუდგნენ სესხზე ხელისმოწერას.

ქართველ მეცნიერთა წვლილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები დიდი სიხარულით შეხვდნენ რადიოთი გადმოცემულ ცნობას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი სახელდახელო მიტინგი გახსნა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ს. ჭილაიამ. ინფორმაციით ახალი სესხის გამოშვების შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. აგლაძე.

— სახელმწიფო სესხები ჩვენი ქვეყნის ძლიერების დიდმნიშვნელოვანი წყაროა, — თქვა მან. — ახლა, ისევე როგორც ყოველთვის, ჩვენი აკადემიის კოლექტივი, ეჭვი არაა, ერთსულოვნად მოაწერს ხელს სესხს და ამით თავის წვლილს შეიტანს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დაჩქარების საქმეში.

ამხ. რ. აგლაძემ განაცხადა, რომ იგი პირადად ახალ სესხს ხელს აწერს ორი თვის ხელფასის ოდენობით.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს და სესხზე ორი თვის ხელფასის ოდენობით ხელმოწერის სურვილი გამოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ახვლედიანმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. შანიძემ, პროფესორმა შ. რადიანმა და სხვებმა.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელისმოწერა. ორი თვის ხელფასის რაოდენობით ახალ სესხზე ხელი მოაწერეს აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა, აკადემიკოსმა-მდივანმა ი. ვეკუამ, აკადემიის ნამდვილმა წევრებმა ნ. ბერძენიშვილმა, გ. წერეთელმა, ვ. თოფურიამ, ტ. კვარაცხელიამ, ნ. კეცხოველმა, ალ. თვალჭრელიძემ, პოეტმა-აკადემიკოსებმა გ. ტაბიძემ და გ. ლეონიძემ.

ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების სესხი

როგორც კი რადიომ გადმოსცა ცნობა ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ, ამწყობ საამქროში სახელდახელო მიტინგზე შეიკრიბნენ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

— სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული ჩვენი შრომითი დანაზოგი — განაცხადა წარჩინებულმა ხარატმა ლ. პატარქალაშვილმა — ხმარდება ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ჩვენი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხზე ერთი თვის ხელფასის ოდენობით და ვკისრულობ უფრო მაღალნაყოფიერად ვიმუშაო, ორმაგად გავანაღდო საწარმოო დავალებები.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა და გადიდებული საწარმოო ვალდებულება იკისრა კომკავშირელმა ელექტრო-მემონტაჟემ დ. აივაზოვმა, რომელმაც სურვილი გამოთქვა სესხზე ხელი მოაწეროს 5 კვირის ხელფასის ოდენობით.

ასეთივე აღფრთოვანებით მისცეს სახელმწიფოს სესხად თავისი შრომითი დანაზოგი 5 კვირის ხელფასის ოდენობით ამწყობი საამქროს ოსტატმა ა. მორდვინოვმა, ტექნიკური განყოფილების ინჟინერმა ს. ოტიევმა და სხვებმა.

მიტინგის შემდეგ გაჩაღდა ახალ სესხზე ხელმოწერა. ამწყობი, მექანიკური, საინსტრუმენტო, სახარო და სხვა საამქროთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა ერთსულოვნად მისცეს სახელმწიფოს სესხად თავისი შრომითი დანაზოგი.

ჩაის ფოთლის კრეფა

ლანჩხუთი. (ტელეგრაფით). კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. 3 მაისამდე სულ რაიონში მოიკრიფა და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 157 ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, რაც აპრილ-მაისის გეგმის 24 პროცენტს უდრის.

მარტო 2 მაისს რაიონის კოლმეურნეობებმა მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 43,4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ დღეს მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფეს 6.150 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს სოფელ აცანის სტალინის, ქვემო აკეთის კაგანოვიჩის, ქვემო ჩიბათის ორჯონიკიძის, გვიმბალაურის მოლოტოვის და ნიგვზიანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 მაისის ცნობებით)

მოხნულია 265.571 ჰექტარი

აპრილის უკანასკნელ ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა საგაზაფხულოდ 18.105 ჰექტარი მოხნეს, სულ 1 მაისისათვის კი მოხნულია 265.571 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 87,9 პროცენტით. დავალება მთლიანად განაღდებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში და 25 რაიონში.

აჭარის ასს რესპუბლიკამ გეგმა 56,5 პროცენტით შეასრულა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 59,5, მცხეთის რაიონმა — 95,5, ცხაკაიის — 94, გეგეჭკორის — 88,5, ზუგდიდის — 97,3, ხობის — 78,5, წალენჯიხის — 96,8, ჩხოროწყუს — 95,9, ლანჩხუთის — 76,8, წყალტუბოს — 61,6, ჭიათურის — 51,2 საჩხერის რაიონმა—58,4 პროცენტით და სხვ.

დათესილია 318.251 ჰექტარი

1 მაისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილია 318.251 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, რესპუბლიკური გეგმის 64 პროცენტი. თესვის დავალება მთლიანად შესრულებულია თბილისის გარეუბნისა და ყვარლის, ახმეტის, წითელწყაროს, კაჭრეთის რაიონებში. გეგმები 90-ზე მეტი პროცენტით შეასრულეს დმანისის, საგარეჯოს, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ქარელის რაიონებმა. ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 89,3 პროცენტით, ლაგოდეხის — 80,4, კასპის — 80,2, გორის — 80,9, ხაშურის — 88,9, ახალციხის რაიონისამ — 82,6 პროცენტით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის ჩატარებაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 3 მაისის დადგენილება

საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას მიაღწია.

1949 წელს მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში მოპოვებულმა შესანიშნავმა წარმატებებმა, შრომის ნაყოფიერების განუხრელმა ზრდამ და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ შესაძლებლობა მოგვცეს 1950 წლის 1 მარტიდან გაგვეხორციელებინა სასურსათო და მასობრივი მოხმარების სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირება.

ფასების ეს შემცირება უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის შემდგომ სერიოზულ გადიდებას, კოლმეურნე გლეხობის საარსებო დონის ამაღლებას და მკაფიოდ მოწმობს ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გადიდებისათვის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ ზრუნვას.

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მილიონობით საბჭოთა ადამიანი აღაფრთოვანა ახალი საგმირო საქმეებისათვის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხს, რომელიც გამოშვებულია მთავრობის გადაწყვეტილებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ამაღლების საქმეში.

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას—აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუშებსა, მოსამსახურეებსა და ინტელიგენციაში, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის ჩატარებაში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მშრომელთა შორის უნდა გააჩაღონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებისათვის სესხის მნიშვნელობის შესახებ.

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშას, სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მოსამსახურეებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ ერთსულოვნად მოაწერონ ხელი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხს სამი-ოთხი კვირის ხელფასის რაოდენობით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხზე ერთსულოვანი და საყოველთაო ხელმოწერით საბჭოთა ხალხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს თავის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი ბელადისა და ბრძენი მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი

ხერკინა აზერბაიჯანში

ბაქო. (საქინი). ტალიშის ტყეები სამხრეთ აზერბაიჯანში მსოფლიოს ერთადერთი ადგილია, სადაც შენახულა ხერკინა, რომელმაც ეს სახელწოდება თავისი მერქნის შესანიშნავ თვისებათა გამო მიიღო. ამ ხისაგან საფეიქრო დაზგების საუკეთესო მაქოები კეთდება. ხერკინისაგან გაკეთებული ზოგიერთი დეტალი წარმატებით ცვლის ლითონს. ხერკინა გაუვალ ტევრად იზრდება.

დღემდე ეგონათ, რომ ეს ხე მხოლოდ ტენიან სუბტროპიკებში ხარობდა. მაგრამ აზერბაიჯანის მეტყევეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხერკინა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც გაიხარებს. შარშან შემოდგომაზე თესლი დათესეს დიდი და მცირე კავკასიონის მთისპირების სატყეოებში, კიროვაბადის, ნუხის, ზაქათალისა და სხვა რაიონებში.

ნათესმა ჩინებულად გამოიზამთრა. აღმონაცენი თანაბარია. შემოდგომაზე ასი ათასზე მეტ ნერგს დარგავენ მტკვრის ნოლაში, მთის კალთებზე. ახალი ხის ჯიშის გავრცელება გაადიდებს ძვირფასი მერქნის რაოდენობას და მეწყერისა და ხრამის გაჩენის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი საშუალება იქნება.

ბოსტნეული კულტურები მაღალმთიან ზონაში

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის აგრომეტეოროლოგიური სადგური (უფროსი ა. ქვირია) მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს მაღალმთიან ზონაში მებოსტნეობის განვითარებისათვის.

აგრომეტეოროლოგიური სადგურის მუშაკებმა, რომლებიც თავის მუშაობაში ფართოდ იყენებენ ბუნების დიდი გარდამქმნელის—მიჩურინის მეთოდებს, მიაღწიეს ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას. მაგალითად, სათანადო აგროტექნიკურ ღონისძიებათა მეოხებით მიიღეს ჰექტარზე კომბოსტო „დიდება“ 660 ცენტნერი, კომბოსტო „ბელორუსია“—560 ცენტნერი, სუფრის ჭარხალი—400 ცენტნერი, საქონლის საკვები ჭარხალი „ბარესი“ — 500 ცენტნერი, შაქრის ჭარხალი—275 ცენტნერი, სტაფილო „ვალერია“—300 ცენტნერი.

თბილისის საგარეუბნო კურორტები

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თბილისის საგარეუბნო კურორტების კეთილმოსაწყობად მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გამოჰყო 1 მილიონ 827 ათასი მანეთი. ამ თანხიდან კურორტ კოჯრის კეთილმოსაწყობად დაიხარჯება 550 ათასი მანეთი, უძოს კეთილმოსაწყობად 300 ათასი, წყნეთის — 195 ათასი, კიკეთის — 297 ათასი, ხოლო მანგლისის—159 ათასი მანეთი. საგარეუბნო კურორტები მომზადებული ხვდებიან ახალ სეზონს.

კულტურის სახლი კოლმეურნეობაში

ქობულეთი. (საკ. კორ.). სოფელ აჭყვას კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ შენდება კულტურის სახლი. ეს რაიონში ერთ-ერთი ულამაზესი და კეთილმოწყობილი შენობა იქნება. პირველ სართულზე მოეწყობა ოთახები საწრეო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის, ხოლო მეორე სართული განკუთვნილია კინოდარბაზისათვის.

კულტურის სახლის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეები.

საავადმყოფოს მშენებლობა

ქვემო-სვანეთი. (საკ. კორ.). ქვემო სვანეთის რაიონის ცენტრში შენდება ორსართულიანი საავადმყოფო 35 საწოლით, აქვე იქნება პოლიკლინიკა. საავადმყოფოს მშენებლობაზე გათვალისწინებულია წელს ნახევარი მილიონი მანეთის დახარჯვა, ხოლო მშენებლობა მთლიანად ორი მილიონი მანეთი დაჯდება.

გაზეთი და ავტორთა აქტივი

ჩვენს ქვეყანაში ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენს ლენინ-სტალინის დიადი იდეების მედროშეს, ბოლშევიკური პარტიის მძლავრ იარაღს, მილიონობით მშრომელ მასებთან პარტიის კავშირის ყველაზე მოქნილსა და ყველაზე ქმედით იარაღს.

საბჭოთა პრესა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეულად ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის თავის პასუხსაგებ როლს, ყოველდღიურად ეხმარება ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ჩვენი პარტიის ძალაა მასებთან მისი განუყრელი კავშირი, იმის უნარი, რომ ყური უგდოს მასების ხმას, არა მარტო ასწავლოს მასებს, არამედ ისწავლოს კიდეც მასებისაგან. ჩვენს გაზეთებში მშრომელთა ფართო მასები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. უამისოდ ვერცერთი გაზეთი ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, ვერ შეძლებს იყოს ცოცხალი, ოპერატიული და მიმზიდველი.

პრესის მუშაკთათვის ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ავტორთა აქტივის ფართო მონაწილეობას გაზეთის თვითეულ ნომერში. ჯერ კიდევ 1912 წელს ამხანაგი სტალინი „პრავდის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში წერდა: „ჩვენი სურვილია... რომ მუშები მარტო თანაგრძნობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი გაზეთის გაძღოლა-გამოცემის საქმეში. დაე ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა მათთვის „უჩვეულო“ სამუშაოა: ლიტერატორი მუშები მზამზარეულად როდი ცვივიან ზეციდან, მათი გამომუშავება ხდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდეჯერ წაიბორძიკებ და ამასობაში წერასაც ისწავლი...“

ჩვენს რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებში ათიათასობით მშრომელი მონაწილეობს. უკანასკნელ წლებში ერთიორად გაიზარდა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა რაოდენობა. მუშკორთა და სოფლკორთა რიგებს ამშვენებენ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები — სტახანოველი მუშები, მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსები, სოციალისტური შრომის გმირები და უხვი მოსავლის ოსტატები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და გამოჩენილი მექანიზატორები, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი გაზეთის ფურცლებზე გამოდიან თავიანთი გამოცდილების განმაზოგადებელი სტატიებით, ნაკლოვანებათა მამხილებელი კრიტიკული შენიშვნებითა და კორესპონდენციებით. მათს აზრებსა და წინადადებებში გამოხატულია სოციალისტური სამშობლოსათვის პატრიოტული თავდადების, ბოლშევიკური პარტიის, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების კეთილშობილური გრძნობები.

ავტორთა აქტივთან მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“ (რედაქტორი ამხ. ა. სალუქვაძე). გაზეთმა შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა აქტივი პარტიული და საბჭოთა მუშაკებიდან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებიდან და მექანიზატორებიდან, ინტელიგენციიდან და საკოლმეურნეო წარმოების წარჩინებულ ადამიანთა რიგებიდან. სწორედ ავტორთა აქტივი ეხმარება გაზეთს ახალი, საინტერესო საკითხების დაყენებაში, სოციალისტური შრომის ნოვატორთა გამოცდილების განზოგადებაში, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაჩაღებაში, რაიონის მშრომელთა დარაზმვაში ომისშემდგომი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს მშრომელთა წერილებს.

ამ მხრივ მთელ რიგ სხვა გაზეთებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე „ჭიათურის მაღაროელი“ (რედაქტორი ამხ. ნ. ვარდოსანიძე), ცხაკაიას რაიონული გაზეთი „ავანგარდი“ (რედაქტორი ამხ. ვ. წირღვავა), ყვარლის რაიონული გაზეთი „ლენინის გზით“ (რედაქტორი ამხ. გ. კეკლიშვილი), გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“ (რედაქტორი ამხ. ს. მერკვილაძე) და სხვ.

მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდია ადგილობრივი გაზეთის ისეთი რედაქტორი, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ავტორთა აქტივის მონაწილეობას გაზეთში და ეყრდნობა მხოლოდ რედაქციის შტატის მუშაკებს. მაგალითად, თვალის ერთი გადავლებითაც შეუძლია მკითხველს დარწმუნდეს იმაში, რომ ლენინგორის რაიონული გაზეთი „სტალინელი“ (რედაქტორი ამხ. ეკ. ხოცუაშვილი), მცხეთის რაიონული გაზეთი „კომუნიზმის გზით“ (რედაქტორი ამხ. ს. გორთამაშვილი) და სხვ., კეთდება რედაქციის შტატის მუშაკთა ხელით. აღნიშნული გაზეთების გვერდები უმთავრესად გავსებულია ერთფეროვანი, ზერელე კორესპონდენციებითა და წერილებით. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ეს გაზეთები ჩამორჩნენ ცხოვრებას, სუსტად აშუქებენ იმ ამოცანებს, რაც მათი რაიონების მშრომელთა წინაშეა დასახული.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ პრესის ზოგიერთი მუშაკი იმისათვის, რომ გაზეთის ფურცლებზე „გამოაჩინოს“ ახალი ავტორები, მათი მონაწილეობის გარეშე წერს წერილებსა და კორესპონდენციებს, მხოლოდ ხელისმოსაწერად მიუტანს ავტორს ან სრულებითაც არ აცნობებს მას ამის შესახებ და ისე ბეჭდავს გაზეთში. ცხადია, ასეთ პრაქტიკას საერთო არაფერი აქვს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის პრინციპებთან, მის ტრადიციასთან.

გაზეთი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ავტორთა აქტივთან, აქტივის მზარდი მონაწილეობით უნდა კეთდებოდეს მისი თვითეული ნომერი. ამის გარეშე არც ერთ გაზეთს არ შეუძლია გაამართლოს მისთვის დაკისრებული ამოცანა.

იმისათვის, რომ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი გამოსწორდეს, საჭიროა გაზეთების რედაქციებმა გააძლიერონ ყოველდღიური მუშაობა ავტორთა აქტივთან, მუშკორთა და სოფლკორთა ყურადღება მიმართონ ძლამიანთა შეგნებაში ... გადმონაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლისაკენ, ბიუროკრატიზმის, დაკისრებულ მოვალეობისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ყველა იმ დრომოჭმულ, დახავსებულ განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რომლებიც ხელს უშლიან კომუნიზმისაკენ ჩვენს წინსვლას. რედაქციების მოვალეობაა ავტორთა ფართო აქტივის მიზიდვით უფრო აამაღლონ გაზეთში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე, გაბედულად ამხილონ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ბოლომდე მიჰყვნენ ამ მიმართულებით წამოწყებულ საქმეს.

დიდი სტალინი გვასწავლის, რომ თვითკრიტიკის მიზანია ჩვენი შეცდომების, ჩვენი სუსტი მხარეების გამომჟღავნება და ლიკვიდაცია. „დაე პარტიამ, დაე ბოლშევიკებმა, დაე ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანმა მუშამ და მშრომელმა ელემენტებმა გამოააშკარაონ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, დაე მათ დასახონ ჩვენი ნაკლოვანებების ლიკვიდაციის გზები იმისათვის, რომ ჩვენს მუშაობაში და ჩვენს მშენებლობაში არ იყოს დამყაყება, დაჭაობება, ლპობა, იმისათვის, რომ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი მშენებლობა დღითიდღე უმჯობესდებოდეს და ახალ-ახალ წარმატებას აღწევდეს“ (ი. სტალინი).

ამხანაგ სტალინის აღნიშნული მითითება საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივი გაზეთების, მათი ავტორთა აქტივის ბრძოლას ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა გამომჟღავნებისა და გამოსწორებისათვის.

ავტორთა აქტივთან მჭიდრო კავშირი გაზეთებისაგან მოითხოვს მუშსოფლკორებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მასობრივი მუშაობის დონის ამაღლებას. საჭიროა გაზეთი სისტემატურად იწვევდეს თავის აქტივს, აცნობდეს მას რედაქციის სამუშაო პერსპექტიულ გეგმებს, აწყობდეს მისთვის საგაზეთო მუშაობის საკითხებზე სემინარებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ძალა მისდამი პარტიულ ხელმძღვანელობაშია. ამიტომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მართებთ გააძლიერონ ხელმძღვანელობა თავიანთი გაზეთებისადმი, დაეხმარონ რედაქციებს მუშსოფლკორთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საქმეში. ამით ისინი ხელს შეუწყობენ ჩვენი გაზეთების იდეური დონისა და ორგანიზატორული როლის შემდგომ ამაღლებას.

ამჟამად ადგილობრივი გაზეთების წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დგას. ეს ამოცანები გამომდინარეობენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი გაზეთები მათზე დაკისრებულ ამოცანებს წარმატებით შეასრულებენ, თუ ახალ საფეხურზე აიყვანენ ავტორთა აქტივთან მუშაობას და მათზე დაყრდნობით შეძლებენ მთელი საქმიანობის ახლებურად გარდაქმნას.

ა. კოკილაშვილი

გ. სიხარულიძე

ლენინი და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა

1905-1907 წლების რევოლუციას ამიერკავკასია შეეგება მძლავრი ბოლშევიკური ორგანიზაციებით, რომლებიც შექმნა, აღზარდა და ბრძოლებში გამოაწრთო ი. ბ. სტალინმა. ვ. ი. ლენინი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ ორგანიზაციებთან, აღფრთოვანებას გამოთქვამდა მათი ბრძოლისუნარიანობის, მასებისადმი მათი ხელმძღვანელობის, ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში მათ მიერ გაჩაღებული მძლავრი რევოლუციური მოძრაობის გამო.

ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა პრესამ, რომელიც ისე, როგორც ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, ამხანაგმა სტალინმა შექმნა. „სტალინი იყო ორგანიზატორი და ინიციატორი თითქმის ყველა ბოლშევიკური გამოცემისა კავკასიაში. არალეგალური წიგნების, გაზეთების, ბროშურების, პროკლამაციების გამოცემას მან მეფის რუსეთის პირობებში უმაგალითო გაქანება მისცა“ (იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია, გვ. 24). ლენინი დიდ ინტერესს იჩენდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების საგამომცემლო საქმიანობისადმი, თვლიდა მას ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელების უძლიერეს ბაზად მთელ რუსეთში, ყოველმხრივ ეხმარებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ამ საქმის უკეთ წარმართვაში.

პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიაში ბოლშევიზმის პოზიციების დაცვის, ლენინის იდეების პროპაგანდისა და განვითარების საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული „ბრძოლისა“ და სომხური „პროლეტარიატის“ ღირსეული მემკვიდრის, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ მიერ გაწეული მუშაობა, რომელსაც ამხანაგი სტალინი წარმართავდა, როგორც ამ გაზეთის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. პარტიის ლენინური ცენტრალური ორგანოს „პროლეტარის“ შემდეგ „პროლეტარიატის ბრძოლა“ ყველაზე უკეთესი და ყველაზე დიდი ბოლშევიკური გაზეთი იყო. ლენინური „პროლეტარი“ და სტალინური „პროლეტარიატის ბრძოლა“ ერთად იბრძოდნენ პარტიის III ყრილობის მოსაწვევად. ისინი ერთად აიარაღებდნენ პროლეტარიატს თავისი სტრატეგიული ამოცანის ღრმა შეგნებითა და ტაქტიკით. ამ ორ გაზეთს შორის იმთავითვე მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა: „პროლეტარიატის ბრძოლა“ თავის ფურცლებზე ათავსებდა ლენინის სახელმძღვანელო წერილებს „პროლეტარიდან“. თავის მხრივ „პროლეტარი“ ბეჭდავდა უმნიშვნელოვანეს სტატიებსა და ცნობებს „პროლეტარიატის ბრძოლიდან“.

„პროლეტარიატის ბრძოლამ“ დაბეჭდა ლენინის სტატიები: „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „მესამე ყრილობა“ და სხვა, რომლებიც პროლეტარიატისა და მისი პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს აშუქებენ. ამავე გაზეთში დაიბეჭდა სტალინის სტატიები „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“, „პასუხი სოციალ-დემოკრატს“, „რეაქცია მწვავდება“, „ბურჟუაზია მახეს აგებს“ და სხვ., რომლებშიც ამხანაგი სტალინი გამოდის, როგორც პარტიის დიდი თეორეტიკოსი, პროლეტარიატის პოლიტიკური ბელადი, დიდი ლენინის ერთგული თანამებრძოლი.

დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ნაშრომებმა, III ყრილობის გადაწყვეტილებებმა, უდიდესმა პრაქტიკულმა მუშაობამ, რომელსაც ი. ბ. სტალინის მეთაურობით ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ეწეოდნენ, გამოაწრთო და რევოლუციური ტაქტიკით შეაიარაღა ეს ორგანიზაციები, მოამზადა ნიადაგი ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობისათვის.

* * *

1905-1907 წლების რევოლუციაში „სამი ძირითადი და მთავარი სოციალური ძალა“ გამოვიდა: **„ცარიზმული** (თვითმპყრობელობა), **ლიბერალური** (ბურჟუაზია) და **რევოლუციური** (პროლეტარიატი)“ (ვ. ლენინი. თხზ., ტ. 9, გვ. 367).

თვითეულ ამ ძალას თავისი მიზანი და ამოცანა ჰქონდა.

თვითმპყრობელობა ცდილობდა როგორმე გადაერჩინა თავი. ამიტომ იგი იძულებული გახდა გამოემუშავებინა მისთვის უჩვეულო, ახალი ტაქტიკა „წარმომადგენლობითი დაწესებულების“ — ბულიგინის სათათბიროს მოწვევის დაპირების სახით.

ბურჟუაზიამ, რომელიც მერყეობდა რევოლუციასა და თვითმპყრობელობას შორის და მოხერხებულ შემთხვევაში მზად იყო თვითმპყრობელობას შეთანხმებოდა, თუ ამ უკანასკნელისაგან ცოტა რამ სარგებლობას ნახავდა, სიხარულით მიიღო ეს დაპირება, ზურგი შეაქცია რევოლუციას და იწყო ქადაგება „რუსეთის განახლებაზე“, რასაც თითქოს მას ბულიგინის სათათბირო მოუტანდა. ლიბერალური ბურჟუაზიის კვალს დაადგნენ მენშევიკები. კავკასიელმა მენშევიკებმა ჯერ კიდევ ბულიგინის სათათბიროს პროექტის დაბადებამდე, 1905 წლის 14 აპრილს თავიანთ პირველ კონფერენციაზე უარყვეს პროლეტარიატის საბრძოლო ლოზუნგები (შეიარაღებული აჯანყება, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნა და მასში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა) და მხარი დაუჭირეს ბულიგინის სათათბიროზე „გარედან ზემოქმედებას“ „სახელმწიფო წყობილების შეძლებისამებრ დემოკრატიზაციისათვის“.

პროლეტარიატი და გლეხობა ბოლშევიკების მეთაურობით გამოვიდნენ ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის ლოზუნგით და ეს ბოიკოტი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების ნიშნით ჩაატარეს.

მთელ რიგ სტატიებში — „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“ და სხვ. ამხანაგმა სტალინმა დაიცვა და განავითარა რევოლუციური პროლეტარიატის საბრძოლო ლოზუნგები, გამანადგურებელი დარტყმა აგემა მენშევიკებს, გამოააშკარავა მათი ღალატი.

ლენინურმა „პროლეტარმა“ მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიერ გაწეულ მუშაობას. 1905 წლის 3 (16) ოქტომბერს „პროლეტარი“ აღტაცებას გამოთქვამდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ შესახებ. **„ბორბა პროლეტარიატა“** — ამ სახელწოდებით კავკასიაში გამოდის გაზეთი, — წერდა „პროლეტარი“, რომელსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი სცემს სამ ენაზე. სომხურ ენაზე გამოვიდა № 6, ქართულზე № 9 და, დასასრულ რუსულზე № 1. ჩვენ კიდევ მოგვიხდება დავუბრუნდეთ ამ საინტერესო გაზეთის შინაარსს. მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებას კავკასიაში პარტიულობის აღდგენაში“ („პროლეტარი“ № 12, 1905 წ.).

1905 წლის 11 (24) ოქტომბერს „პროლეტარმა“ სპეციალური რეცენზია მიუძღვნა „პროლეტარიატის ბრძოლის“ მე-3 ნომერს, აღნიშნა მასში დაბეჭდილ სტატიების მარქსისტული ხასიათი და შესანიშნავი ლიტერატურული ღირსება.

„მოწინავე სტატიაში „მეფის მანიფესტი და ხალხური რევოლუცია“, — წერდა „პროლეტარი“, — მეტად პოპულარულად და ლიტერატურულად არის გადმოცემული მეფის მანიფესტის გამომწვევი მიზეზები, მეფის სათათბიროს მიზანი და ჩვენი ამოცანები“... სტატია „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“ განმარტავს მომავალი რევოლუციის ხასიათს და პროლეტარიატსა და გლეხობას ამ რევოლუციის მთავარ ძალებად სახავს. სტატიის ავტორი არკვევს დროებითი რევოლუციური მთავრობის მიზნებსა და ამოცანებს, როგორიც არის რევოლუციის გამარჯვების განმტკიცება, ბრძოლა კონტრრევოლუციასთან, ჩვენი პროგრამა-მინიმუმის გატარება და საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა,—და აყენებს კითხვას, თუ ვინ უნდა შეადგენდეს ამ მთავრობას, და სამართლიანად უპასუხებს: „იმათი წარმომადგენლები, ვინც ქუჩებში მოიპოვებს თავისუფლებას“ („პროლეტარი“ № 22, 1905 წ.).

„პროლეტარის“ 18 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ამონაწერი „პროლეტარიატის ბრძოლის“ იმავე ნომრიდან. ამონაწერს სათაურად აქვს „კავკასიის კავშირი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ“. ამ ამონაწერში ვკითხულობთ: „დავამხოთ სახელმწიფო სათათბირო და გაუმარჯოს სახალხო რევოლუციას! — აი საითკენ უნდა მივისწრაფოდეთ ჩვენ. საერთო სახალხო აჯანყების მოწყობა და დროებითი რევოლუციური მთავრობა, საერთო სახალხო დამფუძნებელი კრება და დემოკრატიული რესპუბლიკა — აი რა გზით უნდა მიდიოდეს სახალხო რევოლუცია...“ („პროლეტარი“ № 23, 1905 წ.).

1905 წლის 29 აგვისტოს მეფის მთავრობამ მენშევიკების დახმარებით პროვოკაციულად მოაწყო მუშათა დახვრეტა თბილისის ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში. რსდმპ თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა იმავე დღეს გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიც გაკიცხულია მეფის მთავრობა და მისი სახელმწიფო სათათბირო. ეს სტალინური პროკლამაცია გადაბეჭდა ლენინურმა „პროლეტარმა“ („პროლეტარი“ № 18, 1905 წ.). ლენინურმა „პროლეტარმა“ დაბეჭდა აგრეთვე ამონაწერი ფურცლიდან „ახალი მოტყუება“, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა: „ძირს ეს სახელმწიფო სათათბირო, ძირს ეს ხალხის მოტყუების საზიზღარი ცდა. დაე, ყველა ჩამოსცილდეს ამ სიცრუეს, დაე ნურავის ნუ აირჩევენ იქ და ნურავინ ნუ წავა თვითმპყრობელობის დამქაშად“ („პროლეტარი“ № 20, 1905 წ.).

ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის გმირულმა ბრძოლამ, რომელშიც ამიერკავკასიამ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა, ჩაშალა ბულიგინის სათათბიროს მოწვევა. რევოლუციის მძლავრი აღმავლობის შედეგად, თვითმპყრობელობა იძულებული გახდა გამოსულიყო 17 ოქტომბრის მანიფესტით. მანიფესტი თვითმპყრობელობის მორიგ ფარისევლურ აქტს წარმოადგენდა, მაგრამ იგი მაინც რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების შედეგი იყო, რამდენადაც იგი ძალით იქნა გამოგლეჯილი მეფის ხელიდან. „პირველი (და ერთადერთი) გამარჯვება რევოლუციაში, — წერდა ლენინი, — გამოგლეჯილ იქნა მასობრივი მოძრაობით, რომელიც ბოიკოტის ლოზუნგით მიდიოდა“ (თხზ., ტ. 16, გვ. 350).

* * *

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება 1905-1907 წლების რევოლუციის მწვერვალი იყო. დეკემბრის გმირული ბრძოლების შემდეგ რევოლუცია უკუქცევას განიცდის. ბოლშევიკების ტაქტიკა, რომელიც მუდამ გამოხატავდა „საზოგადოებრივი ძალების ობიექტურ თანაფარდობას მათს განვითარებაში“ (ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 34), შექმნილი გარემოების შესაბამისად შეიცვალა. ბოლშევიკებმა არალეგალური ბრძოლის ფორმებს ფართოდ შეუხამეს ბრძოლის ლეგალური საშუალებანი.

ბოლშევიკებმა იწყეს თვით I სათათბიროს გამოყენება, რომელსაც ადრე ბოიკოტი გამოუცხადეს. „თუ ჩვენი ყველა ღონისძიების მიუხედავად ის მაინც მოიწვიეს, ჩვენ უარს ვერ ვიტყვით მისი გამოყენების ამოცანებზე“,— წერდა ლენინი (თხზ., ტ. 11, გვ. 63). „ჩვენ უარს არ ვიტყვით ყვავს კაკალი გამოვტყუოთ, რომ თავი გავუტეხოთ მას ამ კაკლით“, — წერდა ამავე საკითხზე ამხანაგი სტალინი (თხზ. ტ. 1, გვ. 181).

თავიანთ ტაქტიკას I სათათბიროში ბოლშევიკები ახორციელებდნენ სათათბიროს მუშაობაში ბოლშევიკების მონაწილეობის გარეშე, სათათბიროს მეშვეობით მასებისადმი მიმართვით, აგრეთვე უმუშევართა... მარცხენა პარტიებსა და ჯგუფებზე, უმთავრესად მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე ზემოქმედების, მისი შეცდომების კრიტიკის გზით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები ამ სათათბიროში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, ბოლშევიკების ტაქტიკამ სერიოზული დარტყმა აგემა ჯერ მენშევიკებს, რომლებიც სათათბიროში კადეტებს კუდში მისჩანჩალებდნენ, შემდეგ კადეტებს, რომლებიც სათათბიროში თვითმპყრობელობასთან მოლაპარაკებაში შედიოდნენ, და თვით თვითმპყრობელ მთავრობასაც, რომელიც სათათბიროს საშუალებით რევოლუციის ძალების განადგურებას აპირებდა. ბოლშევიკების ტაქტიკამ ხელი შეუწყო სათათბირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთესად ვიმუშაოთ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ ჩვენი პრესის წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად!

★

მეტი მარგანეცისათვის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის

მეტი მარგანეცისათვის ბრძოლა გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" მთავარი ამოცანაა. გაზეთის ყოველ ნომერში ვათავსებთ წერილებს მაღაროების, საწარმოო უბნების, მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკების, ცვლების, ბრიგადებისა და ცალკეული მუშების წარმატებათა შესახებ, ვავრცელებთ მოწინავეთა გამოცდილებას, ვაკრიტიკებთ ჩამორჩენილებს და ვეხმარებით მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და გეგმების შესრულების საქმეში.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მაღაროები საგრძნობლად ჩამორჩნენ, მიცემულ გეგმებს ვერ ასრულებდნენ. ამ საკითხს დროულად მიაქცია ყურადღება „ჭიათურის მაღაროელმა". გაზეთმა საფუძვლიანად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და, დაბეჭდა რა მასალები ბერიას, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროების მუშაობის შესახებ, გამოავლინა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიდა გეგმების შესრულებას. კერძოდ, ამ მაღაროებში მოუწესრიგებელი იყო შრომა, ირღვეოდა მუშაობის გრაფიკი, მექანიზმებს მთელი დატვირთვით არ იყენებდნენ, ნაკლები დახმარება და ხელისშეწყობა ჰქონდათ მუშებს, რის გამოც ისინი ჩამორჩებოდნენ გეგმების შესრულებაში. აღნიშნული ნაკლოვანებანი მხილებულ იქნა ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 11 იანვრის, 11 თებერვლის, 17 თებერვლის, 1 მარტის, 17 მარტის, 18 მარტის ნომრებში. ამ წერილებს გამოეხმაურნენ პარტიის საქალაქო კომიტეტი და მარგანეცის ტრესტი, წერილები განიხილეს როგორც საქალაქო კომიტეტის ბიუროზე, ისე მაღაროებში. წერილებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა შედეგადაც მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება.

გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი" საწარმოო საკითხების გაშუქებასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხების გაშუქებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა: „ჭიათურა უნდა გადავაქციოთ კეთილმოწყობილ სამრეწველო ქალაქად, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს იქ მცხოვრებ მუშამოსამსახურეებისათვის".

ჩვენი გაზეთი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ჭიათურის საქალაქო მეურნეობის განვითარების საკითხებს. გაზეთში სისტემატურად იბეჭდება წერილები ქალაქში წარმოებულ მშენებლობებსა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე. ვათავსებთ აგრეთვე მასალებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობაზე.

გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქცია მუშაობას აწარმოებს ავტორთა აქტივთან. მაღაროებში და სხვა დიდ საწარმო-დაწესებულებებში თვეში ორჯერ ვაწყობთ თათბირებს ძირეული პრესის მუშაკებთან და კორესპონდენტებთან, ვმართავთ კონსულტაციებს მათთვის. ასეთი დახმარების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კორესპონდენტთა ქსელი.

ინჟინრები, გარდა პრაქტიკული ხასიათის წერილებისა, წერენ ტექნიკურ კონსულტაციებს, რაც დიდ დახმარებას უწევს წარმოებაში ახლად მოსულ მუშებს.

გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი" მომავალში უფრო გააძლიერებს ბრძოლას კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის, ფართოდ გააშუქებს მოწინავეთა გამოცდილებას და პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს სათანადო დახმარებას გაუწევს მარგანეცის ქალაქის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების ღირსეულად განხორციელებაში.

ნ. ვარდოსანიძე

ჭიათურის საქალაქო გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" პასუხისმგებელი რედაქტორი

ჩაისა და ციტრუსების უხვი მოსავლისათვის

გაზეთი „ქობულეთელი კოლმეურნე" თავის ამოცანად ისახავს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ჩაისა და ციტრუსების უხვი მოსავლისათვის ბრძოლას. გაზეთის ირგვლივ შემოკრებილია ფართო აქტივი: აგრონომ-სპეციალისტები, უხვი მოსავლის ოსტატები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები. სულ გაზეთში 100-მდე კორესპონდენტი მონაწილეობს.

დაახლოებით ერთნახევარი წლის წინათ გაზეთში უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების ტრიბუნა დაეთმო ჩვენი რაიონის პირველ სოციალისტურ შრომის გმირს, ცნობილ მეჩაიეს ასმათ ჯიჯავაძეს. მისი თავდადებული შრომის შესახებ გაზეთს შემდეგშიც არაერთხელ დაუწერია, რომლის მაგალითით მრავალი ათეული ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი აღიზარდა.

გაზეთის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ხუცუბნის სტალინის, ბობოყვათის მოლოტოვის, ლეღვას მიქოიანის, დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დ. ჯიჯავაძის, ხ. წულუკიძის, ა. სტამბოლიშვილის, ხ. ლავასასის, აგრეთვე მოწინავე ბრიგადირების ა. ყურშუბაძის (ჩაისუბანი), ო. დავითაძის (ქვედა ულიანოვკა), რ. კონცელიძის (ბობოყვათი), თ. მოწყობილის (ხუცუბანი) და სხვათა წერილებს, რომლებმაც ჩაისა და ციტრუსების მაღალ მოსავლიანობას მიაღწიეს.

მიმდინარე წელს გაზეთმა ჯერ კიდევ 12 იანვრის ნომერში დაბეჭდა მოწინავე წერილი სათაურით „მეჩაიეთა საბრძოლო ამოცანა", რომელშიც გასული წლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ყურადღებას მიაპყრობდა ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოებს. 19 თებერვლის ნომერში გაზეთმა გამოცდილების ტრიბუნა ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, სოციალისტური შრომის გმირს ვარდო კონცელიძეს დაუთმო, რომელმაც 1948 წელს 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1949 წელს — 6.818 კილოგრამი, ხოლო მიმდინარე წელს 8.000 კილოგრამი ჩაის მოყვანა იკისრა. 28 მარტის ნომერში მოთავსებულია ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა რაიონის ყველა კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშებისადმი ჩაის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ჩაისუბნელთა მიმართვის პასუხად რაიონის მეჩაიეებმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად აშუქებს გაზეთი.

სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე დამოკიდებულია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებაზე. ამიტომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისა და პარტიული პროპაგანდის საკითხები ყოველთვის წინა პლანზეა გაზეთში. როცა საქმე ეხება ამა თუ იმ კოლმეურნეობის ჩამორჩენას, გაზეთი არა მხოლოდ აღნიშნავს ამ ფაქტს, არამედ სწავლობს ჩამორჩენის მიზეზებს, ეცნობა პარტორგანიზაციის მუშაობას, მის სუსტ მხარეებს. მაგალითად, ხალას სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ძლიერ ჩამორჩებოდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. როგორც გამოირკვა, ამის ძირითადი მიზეზი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის (მდივანი თ. ბარამიძე) ცუდი მუშაობა იყო. იგი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული გაზეთის 23 მარტის ნომერში, ამაზე იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომაც.

ნაკლოვანებათა კრიტიკას გაზეთი ყოველთვის გაბედულად ეწევა.

გაზეთს თავის მუშაობაში აქვს ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ ნაკლებად ვბეჭდავთ მასალებს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის საკითხებზე. გაზეთი ცოტას აკეთებს ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების და ბრიგადების დასახმარებლად, ცოტას ვწერთ სოფლის მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგზე, როგორიცაა მეცხოველეობა და სხვ.

რედაქციის კოლექტივი შემდგომში უფრო გააუმჯობესებს მუშაობას.

ა. დოლიძე

გაზეთ „ქობულეთელი კოლმეურნის" რედაქტორი

★

გაზეთი პარტიული ორგანიზაციის საუკეთესო დამხმარეა

ჩვენი კედლის გაზეთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ დიდია მისი მაორგანიზებელი როლი კოლმეურნეობაში. გაზეთი მტკიცედ არის დაკავშირებული კოლმეურნეობის აქტივთან. სოფლკორები კანონიერად ამაყობენ, რომ ხალხის მსახურნი არიან.

ჩვენი კედლის გაზეთის „კოლმეურნის ხმის" პირველი ნომერი თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის დაარსების დღეებში გამოვიდა. მას შემდეგ იგი მხარში უდგას საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას და ეხმარება დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად ჩვენი კოლმეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გახდა მილიონერი.

წელს კედლის გაზეთმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. 120 ჰექტარზე გვითესია პური. იყო შემთხვევები, რომ ნათესში პირუტყვი შედიოდა და ჯეჯილს აფუჭებდა. სოფლკორის სიგნალის შემდეგ მიღებული ზომების მეოხებით მდგომარეობა გამოსწორდა.

წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ დედაქალაქს 1.500 ტონაზე მეტი ბოსტნეული უნდა მიაწოდოს. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ბოსტნეულის აღება. მეორე ბრიგადაში მუშაობა ჩამორჩენილი იყო, დანაკარგებსაც ჰქონდა ადგილი. სოფლკორის შენიშვნის შედეგად პარტორგანიზაციამ მიიღო გადამჭრელი ზომები, მდგომარეობა მალე გამოსწორდა.

გაზეთის მკითხველებს გავაცანით პირველი ბრიგადის ბრიგადირის პ. ეფრემიძის გამოცდილება, რომელმაც გასულ წელს შესანიშნავ წარმატებას მიაღწია — ჰექტარზე 200 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის პამიდორი მოიწია. კედლის გაზეთმა გააშუქა აგრეთვე სტახანოველი კოლმეურნეების ლადო კაკაურიძის, ოლღა ოჩიგავას, პ. მელქაძის და სხვათა გამოცდილება.

ჩვენი კოლმეურნეობის პარტკაბინეტი ღარიბი იყო მხატვრული ლიტერატურით. სოფლკორის სიგნალმა გაჭრა, შეძენილ იქნა 10.000 მანეთის ლიტერატურა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მშრომელთა საჩივრებს.

პარტბიურო სისტემატურად ისმენს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ანგარიშს, გვაძლევს კონკრეტულ მითითებებს, გვეხმარება მუშაობაში.

ჩვენ ნაკლოვანებებიც გვაქვს, კერძოდ, სუსტად ვმუშაობთ სოფლკორებთან, არა გვაქვს მათი აღრიცხვა, არ იმართება მათთან საუბრები, კონსულტაციები და სხვ. ვიბრძოლებთ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, კედლის გაზეთის მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის.

ვ. გალდავა

კედლის გაზეთ „კოლმეურნის ხმის" რედაქტორი, კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი

★

სოციალისტური მეცხოველეობის აღმავლობისათვის

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებისათვის მეცხოველეობა წამყვანი დარგია. აქედან ცხადია, თუ რა სერიოზული ამოცანები დგას რაიონული გაზეთის წინაშე საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

გაზეთი „ახალი ხევი" ცდილობს ყოველმხრივ დაეხმაროს რაიონის მშრომელებს საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადამეტებით შესრულებაში. შარშან რაიონის მეცხოველეებმა შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს: მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის სახელმწიფო გეგმა რაიონში შესრულდა 124 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 110,5, ცხენისა — 104,8, ერთ საფურაკე ძროხაზე რძის მიღებისა — 125,2, ცხვრიდან მატყლის მიღებისა — 116 პროცენტით. ამ წარმატებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი რაიონულ გაზეთსაც, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლმეურნეობებთან, ფერმებთან, ბრიგადებთან, ცალკეულ მეცხოველეებთან.

ჩვენი გაზეთი სისტემატურად აშუქებს კოლმეურნეთა შრომითს მიღწევებს, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, ამხილებს ნაკლოვანებებს, იბრძვის მათი აღმოფხვრისათვის. ხშირად ვბეჭდავთ ფერმის გამგეების, ბრიგადირების, მწყემსებისა და მწველავების წერილებს. დიდ ყურადღებას ვუთმობთ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას.

სოფელ სიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ქალმა ნ. სეთურიძემ სახელი გაითქვა, როგორც ძროხის წველადობის გადიდების ოსტატმა. მას შარშან მიჩენილი ჰყავდა 10 ძროხა და თითოეულზე მიიღო 75 პროცენტით მეტი რძე, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. რედაქციამ შეისწავლა სეთურიძის გამოცდილება და თავის მკითხველებს მოუთხრო ამ გამოცდილებაზე.

გაზეთი თანმიმდევრულად აშუქებს საკოლმეურნეო ფერმებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საკითხებს, იბრძვის საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მეცხოველეობის განვითარება წარმოუდგენელია, თუ არაა მტკიცე საკვები ბაზა. ამიტომ ჩვენ ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, ვიბრძვით იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით ჰქონდეს უხეში და კონცენტრირებული საკვები. გაზეთს ყურადღებიდან არ გამორჩენია პირუტყვის მოვლა-პატრონობის, ზოოვეტერინარული მომსახურებისა და ჯოგის ჯიშობრივი გაუმჯობესების საკითხებიც.

ჩვენ გვყავს კორესპონდენტთა აქტივი. ესენი არიან მწყემსები, მწველავები, ფერმის გამგეები, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მეცხოველეობის სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ ფერმებში მუშაობენ და გაზეთის საშუალებით საქმიანი წინადადებებით გამოდიან.

ახლა რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის მიმდინარე წელსვე შესასრულებლად. გაზეთის რედაქცია იბრძოლებს იმისათვის, რომ რაიონის მშრომელებმა წარმატებით შეასრულონ ეს პატრიოტული ამოცანა.

ალ. კაზალიკაშვილი

ყაზბეგის რაიონულ გაზეთ „ახალი ხევის" რედაქტორი

მარცვლეულის მოსავლიანობის გასადიდებლად

ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფის ამოცანის გადაჭრის საქმეში წითელწყაროს რაიონს სერიოზული მოვალეობა ეკისრება. ამ მოვალეობის ბოლშევიკურად შესრულებისათვის იბრძვის გაზეთი „ახალი შირაქი".

წელს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები და ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა მარცვლეულისათვის აითვისებენ 12.000 ჰექტარ ყამირ მიწებს საძოვრებისა და იმ უვარგისი მიწების ხარჯზე, რომლებსაც ჩვენი რაიონი წინათ არ იყენებდა სახნავად. ამ გარემოებამ ახალი ამოცანის წინაშე დააყენა გაზეთი.

ზემო ქედის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეებს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძოლონ ხორბლის სათესი ფართობისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამ მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რაიონის კოლმეურნეებში. გაზეთი სისტემატურად აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, ამოწმებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მინდვრად საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს. მაგრამ რედაქციამ დღემდე ვერ შეძლო სათანადოდ დახმარებოდა მინდვრად მომუშავე აგიტატორებს მუშაობის უკეთ მოწყობაში. ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ რაიონში მომუშავე სპეციალისტების ჩაბმას გაზეთის მუშაობაში, სტატიებით, აგროსაუბრებითა და კორესპონდენციებით მათს გამოსვლას „ახალი შირაქის" ფურცლებზე".

ჩვენ მოგვიხდება ავტორთა აქტივთან, მკითხველებთან მუშაობის გადაჭრით გაძლიერება იმისათვის, რომ გაზეთმა მომავალში უკეთესად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ამოცანა.

გ. გოჩიტაშვილი

წითელწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის" რედაქტორი

სადმი რწმენის დაკარგვას მასებში, მომავალი რევოლუციისათვის პროლეტარიატის რეზერვების მომზადებას.

I სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში ლენინის ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს გამოდიოდა გაზეთები „ვოლნა", „ვპერიოდ", „ეხო". ამავე პერიოდში ქართულად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოდიოდა „ახალი ცხოვრება". მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა „ეხოსა" და „ახალ ცხოვრებას" შორის, რომლებიც თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოდიოდნენ. „ახალი ცხოვრების" მე-12, მე-13, მე-14 და სხვა ნომრებში გადმობეჭდილია უმნიშვნელოვანესი სტატიები „ეხოდან".

„ეხოს" ფურცლებზე დაბეჭდილი ლენინის სტატიები და „ახალი ცხოვრების" ფურცლებზე დაბეჭდილი სტალინის სტატიები I სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის ფაქტებზე დაყრდნობით ამხილებდნენ მეფის მთავრობასა და კადეტებს, უჩვენებდნენ გლეხებს, რომ სათათბიროსაგან ისინი ვერ მიიღებდნენ ვერც მიწასა და ვერც თავისუფლებას. ამ გაზეთების ფურცლებზე ლენინი და სტალინი სასტიკად აკრიტიკებდნენ მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას და მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს იმის გამო, რომ სათათბიროში ისინი მხარს უჭერდნენ კადეტებს. მენშევიკების მავნებელ პოლიტიკაში ლენინმა და სტალინმა ულმობლად გამოააშკარავეს ლიკვიდატორული ტენდენცია, რომელმაც შემდეგ თავისი დასრულება „მუშათა ყრილობის" კონტრრევოლუციურ ლოზუნგში ჰპოვა.

* * *

რევოლუციის უკუქცევისა და რეაქციის ბატონობის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო პროფკავშირებში მუშაობამ. თვითმპყრობელობა ყოველმხრივ ცდილობდა აღმოეფხვრა რევოლუციური განწყობილება მუშათა კლასში, გაეხრწნა მისი შეგნება. სასტიკ რეპრესიებს, ჯოხს და მათრახს დაემატა იდეური ზემოქმედების ზომები. რევოლუციისაგან განდგომილი ელემენტების დახმარებით თვითმპყრობელობა შეეცადა სულიერადაც დაემონებინა მუშათა კლასი.

ამ ვითარებაში პროფესიული კავშირების ქსელის შექმნა და მათდამი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ბოლშევიკების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა.

ბოლშევიკების მეთაურობით ამიერკავკასიის ქალაქებში იქმნება პროფკავშირთა ფართო ქსელი. ბევრი მათგანი სარგებლობს „ლეგალობის" იმ აჩრდილით, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სავსებით აღმოფხვრილი. მაგრამ იქმნებიან არალეგალური პროფკავშირებიც, რომლებსაც განუყოფლად ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები. ბოლშევიკები პროფკავშირებს პოლიტიკური ბრძოლის სკოლებად აქცევდნენ.

„...ყველა პროფესიული კავშირი თბილისში, — წერდა ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური ორგანო ლენინური „პროლეტარი",—თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკების ხელშია. თბილისში ოცამდე პროფესიული კავშირია და ყველანი არალეგალურია. ამიტომ ეს კავშირები პოლიტიკურ დაწესებულებებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე პროფესიულს. მათში შედის ქ. თბილისის თითქმის ყველა ორგანიზებული მუშა და ისინი უმრავლესობას შეადგენენ ამ კავშირებში... დამფუძნებელ კრებებზე... ყველა ორგანოში, დაწყებული ცენტრალური საბჭოთი და გათავებული სხვადასხვა კომისიით, როგორიცაა: სარედაქციო, საფინანსო და სხვა კომისია, არჩეულთა დიდ უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენენ. ამას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ბოლშევიზმი ამ კავშირების მეოხებით ყველგან გავრცელდება და გავლენას მოახდენს ფართო მასებზე. გარდა ამისა თბილისისათვის საერთოდ ეს არის პოლიტიკური პროპაგანდის საშუალება" („პროლეტარი" № 12, 1907 წ.).

პროფესიული კავშირების მოწყობისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტთან შეიქმნა „პროფესიული კავშირების ცენტრალური კომისია", ხოლო 1906 წლის 14 ნოემბრიდან ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოსვლა იწყო პირველმა პროფკავშირულმა გაზეთმა „ახალმა დროებამ".

პროლეტარიატმა „გულდასმით უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკური პარტიების ავლადიდება, — წერდა „ახალ დროებაში" ამხანაგი სტალინი, — და თავისუფლად გაყვეს ისეთი პარტიის იდეურ ხელმძღვანელობას, რომელიც მამაცად და დაურიდებლად დაიცავს მის კლასობრივ ინტერესებს, მაღლა დაიჭერს პროლეტარიატის წითელ დროშას და თამამად გაუძღვება მას პროლეტარიატის პოლიტიკური გაბატონებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ" (ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 268).

პროლეტარიატი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ისეთი პარტია, რომელიც „მამაცად და დაურიდებლად" იცავს მის კლასობრივ ინტერესებს, არის სწორედ ბოლშევიკების პარტია. შემთხვევითი როდი იყო, რომ თბილისის პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულმა მუშებმა თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, რომელმაც რეაქციის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა, ახსნა-განმარტებისათვის მიმართეს არა სხვა პარტიას, არამედ ბოლშევიკების პარტიას.

„ამას წინათ მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა წინადადება მოგვცა, — წერდა გაზეთი „ახალი დროება",—წერილები გაგვეშვა ანარქიზმზე, სოციალიზმზე და სხვა ამისთანა კითხვებზე. ამგვარივე სურვილი განაცხადეს ზოგიერთმა სხვა ამხანაგებმაც. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ სურვილს და ვუშვებთ ამ წერილებს" (ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 387-388). მუშების სურვილის დასაკმაყოფილებლად გაზეთმა დაბეჭდა ამხანაგ სტალინის წერილების სერია საერთო სათაურით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?".

ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებული სიღრმით დაამუშავა, ფილოსოფიურად დაასაბუთა და გადაწყვიტა რევოლუციური თეორიის ძირითადი საკითხები: სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობა და გარდუვალობა, მებრძოლი პროლეტარული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის საჭიროება, ყოველმხრივ გააშუქა პროლეტარიატის პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლები. ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ოპორტუნიზმს, გააკრიტიკა ანარქისტები, მენშევიკები, წინასწარმეტყველურად განჭვრიტა რეფორმიზმის გახრწნა და კრახი. ამხანაგმა სტალინმა პროლეტარიატი და მისი პარტია შეაიარაღა ისტორიის განვითარების კანონების ღრმა ცოდნით, იმის შეგნებით, რომ „სოციალისტური წყობილება ისევე აუცილებლად მოჰყვება კაპიტალიზმს, როგორც ღამეს დღე" (ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 319).

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ შემოქმედებითი მარქსიზმის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის — „ანარქიზმი თუ სოციალიზმის" დიდი ნაწილი დაიწერა მუშათა მოთხოვნით და დაიბეჭდა მუშათა პროფესიული კავშირების ორგანოში. ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმას, თუ რეაქციის პერიოდის რთულ ვითარებაში როგორ ზრუნავდნენ ბოლშევიკები მუშათა შეგნებულობის ამაღლებისათვის მაშინ, როცა ბნელეთის მოციქულები, მახისტები, ანარქისტ-კროპოტკინელები და სხვები აბნელებდნენ მუშათა გონებას.

რევოლუციის უკუქცევის პერიოდში, როდესაც რეაქციული კლასების იდეოლოგები მუშათა იდეური დამონებისათვის ათასგვარ ექსპერიმენტებს ახდენდნენ, მუშათა კლასისათვის და მისი პარტიისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა გარდუვალი აუცილებლობა გახდა.

ამხანაგ სტალინის ნაშრომმა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. მან ლენინის ნაშრომთან „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმთან" ერთად თეორიული საფუძველი მოუმზადა ჩვენს პარტიას.

გაზეთ „ახალი დროების" ზრუნვა მუშათა ყოველდღიური საჭიროებისათვის და ამასთანავე შეუნელებელი ინტერესი მარქსიზმის თეორიის დაუფლებისადმი, ამქრული (საწარმოო) და ინტერნაციონალური პრინციპების მოხერხებული შეხამება ერთმანეთთან, აღნიშნა ლენინურმა „პროლეტარმა". 1907 წლის 2 იანვარს „პროლეტარი" გაზეთ „ახალ დროების" შესახებ წერდა: „უკვე გამოვიდა პროფკავშირების ორგანოს „ახალი დროების" მე-10 ნომერი. გაზეთი ძალიან კარგადაა დაყენებული, აქვს ყველა განყოფილება (გაზეთი ლეგალურია). პროფესიული მოძრაობის განყოფილებაში თითქმის ყოველთვის იბეჭდება სხვადასხვა კავშირის წესდებანი, დანარჩენ განყოფილებებს წმინდა სოციალ-დემოკრატიული და რევოლუციური ხასიათი აქვთ. მაგალითად, რძის საწარმოების მუშათა კავშირის წესდებასთან ერთად მოთავსებულია „პროლეტარიდან" გადმობეჭდილი სტატია, ფელეტონი „ანარქიზმისა და სოციალიზმის" შესახებ და სხვა. „ვპერიოდიდან" გადმობეჭდილია სტატია „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ", „პროლეტარიდან" — „საჭიროა თუ არა დემოკრატიული რესპუბლიკა". გაზეთი ყოველკვირეულია და კარგად ვრცელდება" („პროლეტარი" № 12, 1907 წ.).

ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიერ მუშათა პროფესიული მოძრაობის ხელმძღვანელობის დარგში მიღებულმა გამოცდილებამ გამოხატულება ჰპოვა რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის რეზოლუციაში პროფკავშირების შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო ბოლშევიკების მთელ შემდგომ მუშაობას ამ დარგში.

* * *

როგორც ცნობილია, ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს II სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა მიეღოთ. მაგრამ სათათბიროში ბოლშევიკებისა და მენშევიკების მონაწილეობა ერთნაირი როდი იყო. მაშინ როცა ბოლშევიკები იცავდნენ სოციალ-დემოკრატიის სრულ დამოუკიდებლობას საარჩევნო კამპანიაში და „მემარცხენე ბლოკის" ტაქტიკას (ესე იგი შეთანხმებას ეგრეთწოდებულ შრომის პარტიებთან — ტრუდოვიკებთან, ესერებთან, როგორც ქალაქისა და სოფლის დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან) არჩევნებში და თვით სათათბიროში, მენშევიკები კვლავ კადეტებთან საარჩევნო შეთანხმებისა და სათათბიროში კადეტებისათვის მხარდაჭერის ლოზუნგით გამოვიდნენ.

II სათათბიროს არჩევნების პერიოდის დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენდა მკვეთრი გარდატეხა კლასების—როგორც მქონებელი, ისე ექსპლოატირებული კლასების შეხედულებებში. რეაქციული, შავრაზმული პარტიები (ოქტიაბრისტები, სავაჭრო-სამრეწველო პარტია და სხვ.) მჭიდროდ გაერთიანდნენ თვითმპყრობელობის გარშემო. კონსტიტუციურ-მონარქისტული ბურჟუაზია რომელთა იდეოლოგიას კადეტები გამოხატავდნენ, თავს ანებებს მერყეობას რევოლუციასა და თვითმპყრობელობას შორის და საბოლოოდ გადადის თვითმპყრობელობის მხარეზე, ებრძვის რევოლუციას.

მუშათა კლასში და გლეხობაში კიდევ მეტად შეირყა რწმენა თვითმპყრობელობისადმი და მის მიერ გამოგონილი სათათბიროსადმი.

რევოლუციის შედეგების ამ მკვეთრი შეფასებისას მენშევიკები ისე, როგორც ყოველთვის პროლეტარიატის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდნენ, ბურჟუაზიის მსგავსად ისინიც მარჯვნივ გადაიხარნენ, შეუდგნენ მისი ახალი დაკვეთის შესრულებას. მენშევიკებმა პირველ რიგში პარტიულ ორგანიზაციებზე მიიტანეს იერიში, დაადგნენ წვრილბურჟუაზიულ მასაში მისი გათქვეფის, ლიკვიდაციის გზას.

მენშევიკების ამ პერიოდის ტაქტიკა ყველაზე ტიპიურად კავკასიელმა მენშევიკებმა გამოხატეს.

პარტიის V ყრილობისათვის მზადების პერიოდში წინა გაზეთების მიერ დამკვიდრებულ მეგობრობას განაგრძობდნენ ლენინური „ნაშე ეხო" და სტალინური „დრო". ამ პერიოდში პარტიისათვის სასიცოცხლო ამოცანა გახდა ბრძოლა მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ორივე ეს გაზეთები ებრძვიან პარტიისა და ხალხის ამ მტრებს.

კავკასიელმა მენშევიკებმა მიზნად დაისახეს, რათა V ყრილობის დელეგატებად კავკასიიდან მხოლოდ მენშევიკები ყოფილიყვნენ გაგზავნილნი. ამ მიზნით მათ მიმართეს ნაცად ხერხს — პარტიული ორგანიზაციების წევრთა ხელოვნურად ზრდას (რათა წევრთა მეტი რიცხვიდან მეტი დელეგატების არჩევის „უფლება" მიეღოთ), ფართოდ გაუღეს კარები წვრილბურჟუაზიულ სტიქიას. „ასწევე თითების მოსაპოვებლად, — წერდა გაზეთი „დრო", — მენშევიკები მზად არიან სოციალ-დემოკრატიული **მუშათა პარტია გლეხთა** პარტიად გადააქციონ" („დრო" № 12, 1907 წ.). „აქ სავსებით მოშალეს საზღვრები პროლეტარიატის პარტიასა

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გერმანიის დასავლეთ ზონებში იქმნება დაქირავებული სამხედრო ფორმირებანი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყების ცნობა

ბერლინი, 30 აპრილი. (საქდესი). დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყების ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

ამას წინათ ამერიკელმა ხელისუფლებმა ბერლინში უკანონოდ დააპატიმრეს დრეზდენის სახალხო პოლიციის 8 მოსამსახური, რომლებიც, დრეზდენიდან ბერლინს რომ მიდიოდნენ, შემთხვევით მოხვდნენ ამერიკულ სექტორში.

თუმცა ქალაქის სექტორებს შორის საზღვარი ღიაა და არავითარი აკრძალვა არ არსებობს ერთი სექტორიდან მეორეში გადასასვლელად, თუმცა ბერლინის საბჭოთა სექტორში ბერლინის დასავლეთი სექტორების ასობით პოლიციელი ცხოვრობს და გადასვლა-გადმოსვლის სრული თავისუფლებით სარგებლობს, ამერიკელი ხელისუფალთ, მიუხედავად სახალხო პოლიციის ორგანოების პროტესტებისა, არა მარტო დაპატიმრებული ჰყავთ დრეზდენის სახალხო პოლიციის მოსამსახურეები, არამედ პროცესიც მოაწყვეს ამერიკის სამხედრო სასამართლოში.

დასავლეთ ბერლინის პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ ამ პროცესის ორგანიზატორები მუქარით, ზეგავლენით და ფიზიკური ზემოქმედების ზომებით ცდილობენ მიიღონ დაპატიმრებულთაგან ჩვენებები, რაც სახელს გაუტეხდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პოლიციას. ამ პროცესს იყენებენ აგრეთვე იმისათვის, რომ გააღვივონ ომის ფსიქოზი დასავლეთ გერმანიაში და ხალხს დაუმალონ დასავლეთ გერმანიაში სამხედრო ფორმირებათა შექმნისა და მისი მილიტარიზაციის ფაქტები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყება აცხადებს, რომ დასავლეთის პრესის მიერ გამოქვეყნებული ცნობები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პოლიციის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. ამასთან დაკავშირებით ინფორმაციის უწყებას საჭიროდ მიაჩნია გამოაქვეყნოს შემდეგი ფაქტები:

ამერიკისა და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფალნი, არღვევენ რა პოტსდამის შეთანხმებას, ნათქვამია შემდეგ ცნობაში, კვლავ ქმნიან სამხედრო ფორმირებებს და აიარაღებენ მათ ამერიკული იარაღით. შექმნილია შტაბი, რომელსაც მეთაურობენ ისეთი ფაშისტი გენერლები, როგორიც არიან გუდერიანი, ჰალდერი და სხვები, რომლებიც ქმნიან იმპერიალისტების მორჩილ დასავლეთ გერმანიის დაქირავებულ არმიას. ისინი ამუშავებენ ოპერატიულ გეგმას და წრთვნიან უკვე შექმნილ საჯარისო ნაწილებს.

იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე, რომელიც მაისში შედგება ლონდონში, განიხილავენ ეგრეთ წოდებულ ევროპის არმიაში დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არმიის შეყვანის საკითხს, თანახმად იმპერიალისტური „ევროპის კავშირისა" და ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული პაქტის გეგმებისა.

სარწმუნო ცნობებით, აღნიშნავს ინფორმაციის უწყება, დასავლეთ გერმანიის ინგლისურ ზონაში ახლა არიან გერმანული და უცხოეთის სამხედრო შენაერთები, რომლებსაც ეწოდებათ „გერმანიის სამოქალაქო მუშათა ორგანიზაციის ჯგუფები" (მუშათა ბატალიონები), „შერეული სამოქალაქო მუშათა ორგანიზაციების ჯგუფები", „დაცვის შერეული სამსახურის ნაწილები", რიცხვით 107.400 კაცი რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობისა. გარდა ამისა, ყავთ 41.800 პოლიციელი, რკინიგზის 6.000 პოლიციელი და 11.000 მესაზღვრე პოლიციელი. ინგლისურ ზონაში მყოფი გერმანული და უცხოეთის ნაწილების და ყოველგვარი პოლიციის შემადგენლობის საერთო რიცხვი 166.200 კაცს შეადგენს.

ამერიკულ ზონაში არიან გერმანული და უცხოეთის საჯარისო ნაწილები შემდეგი სახელწოდებით: „მუშა ხელისადმი მეთვალყურეობის ცენტრები", „მუშა ხელისადმი მეთვალყურეობის ასეულები", „დაცვის ასეულები" და „მუშათა ასეულები". სულ ამ ფორმირებებში ითვლება 80.000 კაცი.

გარდა ამისა, ამერიკულ ზონაში ითვლება 100.000 კაცი სამრეწველო პოლიციაში და 38.143 კაცი—რეგულარულ პოლიციაში. რკინიგზის, საზღვაო, სასაზღვრო და საბაჟო პოლიციაში ითვლება 29.900 კაცი.

სულ 1950 წლის 15 აპრილისათვის ამერიკულ ზონაში იყო 243.043 კაცი რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობისა. ეს სამხედრო ფორმირებანი შედგებიან გერმანელებისა და უცხოელებისაგან, ძირითადად ეგრეთ წოდებულ ადგილგადანაცვლებულ პირთაგან.

ფრანგულ ზონაში არის გერმანელთა და უცხოელთა სამხედრო ფორმირებანი, რომლებიც შეადგენენ რეგულარულ სარკინიგზო და სასაზღვრო პოლიციას 24.600 კაცის რაოდენობით.

ბერლინის დასავლეთ სექტორებში ითვლება 12.107 კაცი ეგრეთ წოდებულ შტუმის პოლიციაში, 1.300 კაცი სამრეწველო პოლიციაში („შავი გვარდია") და 3.000 კაცი, რომლებიც სხვა ნაწილებში შედიან. პოლიციელთა საერთო რიცხვი ბერლინის დასავლეთ სექტორებში 16.407 კაცს შეადგენს.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ გერმანიის დასავლეთ ზონებში და ბერლინის დასავლეთ სექტორებში ითვლება 449.200 კაცი, რომლებიც შედიან გერმანულ და უცხოელთა სამხედრო ფორმირებებში და სხვადასხვა საპოლიციო ნაწილებში. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა ნახევრად სამხედრო ორგანიზაციების შემადგენლობას, გამოვა, რომ ამჟამად დასავლეთ გერმანიას ყავს არმია, რომელშიც ითვლება ნახევარ მილიონზე მეტი კაცი და რომელიც ძირითადად შედგება ჰიტლერული არმიის ყოფილი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან. გარდა ამისა, უცხოეთის ლეგიონებში ათი ათასობით გერმანელი მსახურობს. ყველა ეს სამხედრო და ნახევრად სამხედრო ფორმირებანი, როგორც წესი, აღჭურვილი არიან ამერიკული იარაღით: კარაბინებით, შაშხანებით, ავტომატებით, რევოლვერებით, მსუბუქი და სადაზგო ტყვიამფრქვევებით. გარდა ამისა ამ სამხედრო ფორმირებებში შედიან სატანკო და საარტილერიო ქვეგანაყოფები, რომლებსაც აქვთ საშუალო და მსხვილი ყალიბის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები.

დასავლეთ გერმანიაში საჰაერო მიმოსვლის განვითარების საბაბით იქ ამ უკანასკნელ დროს ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დიდი ბრიტანეთიდან მიიტანეს თვითმფრინავების ნაწილები, რომელთა აწყობა მოხდება თვითმფრინავმშენებელ ქარხნებში და შემკეთებელ სახელოსნოებში. ეს ქარხნები და სახელოსნოები, საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად მოსპობილი უნდა ყოფილიყო. ასეთი ქარხნებია „მესერშმიტის" ქარხნები აუგსბურგში, თვითმფრინავთმშენებელი ქარხანა „ბაიერიშე მოტორენვერკე" მიუნხენში, ჩრდილოეთ გერმანიის დორნიეს ქარხანა ინგლისურ ზონაში და სხვა.

რაც შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პოლიციას, იგი შექმნილია ოთხი მაოკუპირებელი სახელმწიფოს გადაწყვეტილების თანახმად. სახალხო პოლიცია შექმნილია არა იმისათვის, რომ ემსახუროს ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებს, არამედ რესპუბლიკის დემოკრატიული წესებისა და კანონიერების დაცვისათვის, მესაბოტაჟეებისა, სპეკულანტებისა, კონტრაბანდისტებისა და ხალხისადმი მტრული ელემენტებისაგან რესპუბლიკის დაცვისათვის, აგრეთვე საწარმოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დაცვისათვის.

ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტი საფრანგეთის ქალაქ ქანტიიში

პარიზი, 30 აპრილი. (საქდესი). დღეს ქალაქ ქანტიიში (პარიზის ახლოს) გაიმართა ქანტიისა და არკეის შუამდებარე საქალაქო პროსპექტისათვის სტალინის სახელობის პროსპექტის დარქმევის საზეიმო ცერემონია. ეს ცერემონია გადაიქცა ფრანგი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის დემონსტრაციად, ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ფრანგი მშრომელების მადლობისა და სიყვარულის დემონსტრაციად, მშვიდობისათვის მხარდამჭერის დემონსტრაციად.

საიდუმლო თათბირი ბერლინის ამერიკულ სექტორში

ბერლინი, 4 მაისი. (საქდესი). გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ 28 აპრილს ამერიკის დაზვერვის „სი-აი-სის" მთავარ ბანაკში ცელენდორფში (ბერლინის ამერიკული სექტორი) საიდუმლო თათბირი გაიმართა. ამ თათბირზე, რომელიც „სი-აი-სის" თანამშრომლის კაპიტან კოლინსის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ირჩეოდა ამერიკის უმაღლესი კომისრის მაკლოის მიერ 26 აპრილს გამოცემული ბრძანება. ამ ბრძანების თანახმად, დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებმა, როგორც წესი, უნდა მიიღონ დასავლეთ ბერლინში „ლტოლვილის სახით" ჩასული ყველა მამაკაცი, რომელიც გამოსადეგია სამხედრო სამსახურისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სრულიად გარკვეულად არის ცნობილი, რომ საქმე ეხება სისხლის სამართლის დამნაშავეებს და ანტისოციალურ ელემენტებს. ქალებს მომავალში დასავლეთ ბერლინში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიიღებენ, ბავშვებსა და მოხუცებს საერთოდ არ მიიღებენ.

შემდეგ ბრძანებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარემ გენერალმა ბრედლიმ სთხოვა მაკლოის ხელი შეუწყოს იმას, რომ ახალგაზრდა გერმანელები დასავლეთ გერმანიის არმიაში შევიდნენ. ამ თხოვნის შესაბამისად ყველა „შესაფერისი ლტოლვილი" ამერიკის თვითმფრინავებით დაუყოვნებლივ უნდა ჩაიყვანონ ჰანოვერსა და ლიუბეკში. იქიდან მათ გაგზავნიან ინგლისის „მუშათა ბატალიონებში" და ამერიკის „სამრეწველო პოლიციაში". დასავლეთ ბერლინში არსებული „ლტოლვილთა" ეგრეთწოდებული მისაღები ცენტრის შესანახავი და მათი გადაყვან-გადმოყვანის ხარჯები დაფარულ უნდა იქნას მარშალის გეგმით გამოყოფილი სახსრებით.

დასავლეთ ბერლინის მხრივ თათბირს დაესწრნენ ნეიმანი (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია), შვენიკე („თავისუფალი დემოკრატიული პარტია"), ციმერი და ვილმერშტაინი (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „აღმოსავლეთის ბიურო"), რაინერ ჰილდებრანდტი და დოქტორი რიხტერი, აგრეთვე შტუმის ობერკომისარი საიდუმლო პოლიციის განყოფილებიდან. როგორც „სი-აი-სის" წარმომადგენელი, თათბირს დაესწრო ამერიკელი ჟურნალისტი კურტ რისი.

კაპიტანმა კოლინსმა თათბირზე სიტყვასიტყვით შემდეგი განაცხადა: „საკმარისია, რომ ჩვენ იარაღს გაწვდით. ჩვენი შვილების სისხლი არ უნდა დაიღვაროს ევროპაში. საკმაოდ მოიპოვებიან გერმანელები, რომლებიც შეიძლება დაიხოცონ ამერიკის ინტერესებისათვის".

გერმანელმა წარმომადგენლებმა უსიტყვოდ მიიღეს ცნობად კოლინსის ეს განცხადება.

პროგრესისტმა თურქმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა მეორედ გამოაცხადა შიმშილობა

სტამბოლი, 3 მაისი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი" იუწყება, 2 მაისს სტამბოლში უსკიუდარის საპატიმროში მყოფმა ცნობილმა თურქმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა მეორედ გამოაცხადა შიმშილობა.

ჰიქმეთმა შიმშილობა პირველად გამოაცხადა 8 აპრილს, მაგრამ ადვოკატის თხოვნით შეწყვიტა, რადგან ხელისუფლებმა აღუთქვეს, რომ განიხილავდნენ ჰიქმეთის თხოვნას განთავისუფლების შესახებ.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

შანხაი, 2 მაისი. (საქდესი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, გაზეთმა „აკახატამ" გამოაქვეყნა ინფორმაცია იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-19 პლენუმის შესახებ, რომელმაც მუშაობა დაამთავრა 29 აპრილს.

პლენუმმა ერთხმად მოიწონა კომპარტიის გენერალური მდივნის ტოკუდას საერთო მოხსენება, ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის სიინოს მოხსენება, განცხადება სიგისა, რომელმაც მოუწოდა პარტიის ერთიანობის განმტკიცებისა და ფრაქციული საქმიანობის შეწყვეტისაკენ, და განცხადება პლენუმის მუშაობის დამთავრების გამო.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განცხადებაში აღნიშნულია, რომ პლენუმმა მიაღწია შეთანხმებას პარტიის სტრატეგიისა და ერთიანობის განმტკიცების შესახებ. საშინაო და საგარეო რეაქცია, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ემზადება ლახვარი ჩასცეს იაპონიის კომპარტიას. პლენუმის განცხადება მოუწოდებს ბრძოლისაკენ იაპონიის სრული დამოუკიდებლობისათვის, იაპონიის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მიცემის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ.

პროექტი თეზისებისა პარტიის ამოცანების შესახებ ზოგიერთ ცვლილებასთან ერთად გადაცემულია პარტიული დისკუსიისათვის.

ჰოლანდიის კომპარტიის საპირველმაისო მიმართვა

ჰააგა, 30 აპრილი. (საქდესი). ჰოლანდიის კომპარტიის პოლიტბიურომ ჰოლანდიის მშრომელებს მოუწოდა მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნით გამართონ საპირველმაისო დემონსტრაციები და მიტინგები.

მიმართვაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჰოლანდიის მშრომელებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების გეგმებს. მიბაძონ ფრანგი მუშების მაგალითს და გადაჭრით იბრძოლონ ამერიკული იარაღის მიწოდების წინააღმდეგ.

პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ ჰოლანდიელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ, რომელიც მშვიდობისაკენ მიისწრაფვის, ჰოლანდიის მთავრობამ ატლანტიკის აგრესიულ პაქტში შეიყვანა ჰოლანდია.

ჰოლანდიის მშრომელებმა, ნათქვამია მიმართვაში, უნდა გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, ატომური ბომბის აკრძალვისათვის, ამ აკრძალვისადმი ქმედითი კონტროლის დაწესებისათვის. მოსახლეობის ფართო ფენებს მიაჩნიათ, რომ მთავრობა, რომელიც პირველი გამოიყენებს ატომურ ბომბს, სამხედრო დამნაშავედ უნდა გამოცხადდეს.

ინგლისის მუშათა დელეგაციის წევრი მოსკოვში 1 მაისის დღესასწაულის შესახებ

ლონდონი, 3 მაისი. (საქდესი). მოსკოვს 1 მაისის დღესასწაულზე ჩასული ინგლისელ მუშათა დელეგაციის წევრმა დანიელ მარტინმა—შოტლანდიელმა მანქანათმშენებელმა — „დეილი უორკერის" მოსკოველ კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილება მოსკოვში 1 მაისის დღესასწაულის შესახებ, მარტინმა თქვა:

„ბევრჯერ ვცდილვარ წარმომედგინა, თუ როგორ დღესასწაულობენ 1 მაისს მოსკოვში, მაგრამ რაც იქ ვნახე, ჩემს ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. მშრომელთა სოლიდარობა და ერთსულოვნება უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს.

წითელ მოედანზე ღრმად შევიგნე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ინგლისელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობას განმტკიცება. სამშობლოში დავბრუნდები მტკიცე რწმენით — განვაგრძო ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩემს ხალხს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამხედრებს.

დარწმუნებული ვარ, რომ სსრ კავშირში ჩვენი დელეგაციის გამგზავრება განამტკიცებს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა კავშირს".

საფრანგეთში პროტესტს აცხადებენ ჟოლიო-კიურის გადაყენების წინააღმდეგ

პარიზი, 30 აპრილი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში" იუწყება, რადიუმის ინსტიტუტის, ბიოლოგიის ინსტიტუტის, ქიმიურ-ფიზიკური ლაბორატორიის ანრი პუანკარეს ინსტიტუტის პროფესორებმა, მეცნიერ-მკვლევარმა მუშაკებმა, მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და ტექნიკურმა პერსონალმა მთავრობის მიერ ატომის ენერგიის საკითხთა უმაღლესი კომისრის პოსტიდან ჟოლიო-კიურის გადაყენების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გუშინ მუშაობა შეწყვიტეს.

ამ ინსტიტუტების მუშაკთა გაერთიანებულ კრებაზე არჩეულ იქნა დელეგაცია, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გადასცემს მოთხოვნას ატომის ენერგიის საკითხთა უმაღლესი კომისრის პოსტზე ჟოლიო-კიურის აღდგენის შესახებ. კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეიქმნას „ჟოლიო-კიურის აღდგენისათვის და საფრანგეთში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაცვისათვის ბრძოლის კომიტეტი".

გაზეთი აქვეყნებს მრავალ პროტესტს ჟოლიო-კიურის გადაყენების წინააღმდეგ, მათ შორის საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიუროს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, განათლების მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანების (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილება), დოკერებისა და ნავსადგურის მუშების ეროვნული ფედერაციისა და სხვათა პროტესტს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა საავიაციო ნაწილი გომინდანელთა დასახმარებლად

პეკინი, 3 მაისი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ამჟამად ამერიკის ხელმძღვანელობით იქმნება რეაქციონერ ავანტიურისტთა ჯგუფი, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებენ „ინტერნაციონალურ საავიაციო ბრიგადას". როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სან ლუისიდან 30 აპრილს იუწყება, 29 აპრილს საღამოს „ინტერნაციონალური საავიაციო ბრიგადის" ოფიცრები სან ლუისში შეხვდნენ გენერალ ჩენნოლტის ჯგუფის წევრებს, რათა შეემუშავებინათ გომინდანელებისათვის აქტიური დახმარების გაწევის პროგრამა. ცნობა ამჟღავნებს აგრეთვე ამ ახალ შეთქმულებაში ამერიკის მთავრობის მონაწილეობას. როგორც ცნობაშია აღნიშნული, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილმა ოფიცერმა კასლმა განაცხადა, რომ თუ სახელმწიფო დეპარტამენტი განაგრძობს ამ ჯგუფისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭების პოლიტიკას, მაშინ ჯგუფი უკვე ივლისში დაიწყებს აქტიურ მოქმედებას.

კასლმა განაცხადა, რომ ბრიგადას ექნება ამერიკული და ინგლისური სამხედრო თვითმფრინავები. მან თქვა აგრეთვე, რომ ბრიგადის პირად შემადგენლობაში შედიან ამერიკელები, ინგლისელები და კანადელები, ამასთან მათი უმრავლესობა ყოფილი ამერიკელი სამხედრო მფრინავია. კასლმა აღიარა, რომ ამ ჯგუფის ფორმირება, რომელიც თავის თავს „ინტერნაციონალურ ჯგუფს" უწოდებს, წარმოებს გომინდანელთა ფინანსური დახმარებით.

თბილისს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია

3 მაისს თბილისში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია, რომელიც უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მიწვევით დაესწრო 1 მაისის დღესასწაულს მოსკოვში.

დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე დ-რი ოლდრჟიხ იონი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე სახალხო ალორძინების სლოვაკური პარტიისაგან ანდრეი ცაკი, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წევრი ეროვნული კრების დეპუტატი კარლა პფეიფეროვა, ინფორმაციისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ლუმირ ჩივრნი, ქალაქ ბრნოს მასარიკის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი ეროვნული კრების დეპუტატი ფრანტიშეკ ტრავნიჩეკი, ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტიის გენერალური მდივანი ეროვნული კრების დეპუტატი ანტონინ პოსპიშილი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის გრადეც-კრალოვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ეროვნული კრების დეპუტატი იან ნემეცი, ეროვნული კრების დეპუტატი ანტონინ ფიალი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის გენერალური მდივანი იური სლადეკი, ჩეხოსლოვაკელ მწერალთა კავშირის მდივანი ვლადორ მინაჩი, პოეტი მილან ლაიჩიაკი, დამკვრელი მეტალურგი იაროსლავ კოვარჟიკი, დამკვრელი ფეიქარი მარია ლაზიკოვა, დამკვრელი მაღაროელი სტანისლავ პროკოპი, დამკვრელი მეფრინველე იან ბოგუნსკი.

თბილისის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ე. გეგეჭკორი, პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ნ. გიგაური-ჩარკვიანი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ა. გომიაშვილი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ამხ. ს. ჟღენტი, პრესის წარმომადგენლები, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დელეგაცია საქართველოში რამდენიმე დღეს დარჩება. (საქდესი).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორიუმში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაისის განმავლობაში წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებები: 6-V, პროფესორი ვ. მამასახლისოვი — თანამედროვე ფიზიკის ფილოსოფიური საკითხები; 9-V, პროფესორი ლ. კალანდაძე — მიჩურინი როგორც დიალექტიკოსი-მატერიალისტი; 11-V, დოცენტი მ. ზებიაშვილი — რადიოგადაცემისა და მიღების პრინციპები; 13-V, დოცენტი ქ. აქბარდია — კომუნისტური მორალის ზოგიერთი საკითხი; 16-V, დოცენტი ვ. გაბაშვილი — საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობა 30 წლის მანძილზე; 20-V, დოცენტი ს. ლარცულიანი — თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობაში; 25-V, დოცენტი ი. მირცხულავა — საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის; 27-V, დოცენტი გ. გაჩეჩილაძე — უნგრეთის დიდი სახალხო პოეტი პეტეფი; 30-V, პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი — გ. სუნდუკიანცი და ქართველი კლასიკოსები.

სხდომები შედგება № 93 აუდიტორიაში. დასაწყისი დღის 3 საათზე.

დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

5 მაისს: **მარჯანიშვილის სახელობის**—„ხარატაანთ კერა"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ლიკურგის კანონი"; **სომხური დრამის**—„ყაჩაღები"; **მუსიკალური კომედიის**—„მხიარული ქვრივი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გორკის ბავშვობა" (25 აბ. 7 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლენინი და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა

(დასასრული)

და წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის.—წერდა ამავე საკითხზე ლენინური „ნაშე ეხო", — შეუძლებელია განისაზღვროს სად თავდება სოციალ-დემოკრატიული რიგები და სად იწყება დემოკრატიული. წვრილბურჟუაზიული დემოკრატია არ ხვდება სრულიად არავითარ ზღუდეს პარტიაში მისი დიდი უმრავლესობის მასობრივი შესვლისას. ხმების პრაქტიკული საჭიროება აიძულებს მათ (მენშევიკებს) მოშალონ საზღვარი წვრილბურჟუაზიასა და პარტიას შორის, და საკითხს ხმების რაოდენობის შესახებ დაუქვემდებარონ პროლეტარიატისა და სოციალ-დემოკრატიის ინტერესები" („ნაშე ეხო" № 12, 1907 წ.).

ამხანაგმა სტალინმა მთელ რიგ სტატიებში, რომლებიც გაზეთ „დროის" ფურცლებზე დაიბეჭდა და ლენინურმა „ნაშე ეხომ" სპეციალურ სტატიაში „წვრილი ბურჟუაზიის გავლენა სოციალ-დემოკრატიაზე", გამოააშკარავეს მენშევიკების „წარმატების" მიზეზები და მთელი პარტიის წინაშე სასტიკად დაგმეს მათი ანტიპარტიული საქმიანობა. ამხანაგ სტალინის მეთაურობით გაზეთ „დროსთან" შეიქმნა ბოლშევიკ ლიტერატორთა ბიურო, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა მენშევიკების დეზორგანიზატორული საქმიანობის წინააღმდეგ და სათავეში ჩაუდგა V ყრილობისათვის მზადების საქმეს. თბილისის მთავარი საწარმოების მოწინავე მუშებმა მხარი დაუჭირეს ბიუროს საქმიანობას და თავიანთ კრებებზე ერთსულოვნად მოითხოვეს ამხანაგ სტალინის არჩევა V ყრილობის დელეგატად.

მენშევიკების შეთქმულება ჩაშლილი იქნა ყველგან. მათ ვერ შესძლეს V ყრილობაზე უმრავლესობის შექმნა. V ყრილობა ბოლშევიკების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

* * *

1907 წლის 3 ივნისის გადატრიალების შემდეგ ლეგალური ბრძოლის საშუალებანი მეტისმეტად შეიზღუდა. თვითმპყრობელობის აგენტთა გაძლიერებული დევნის გამო 1907 წლის დეკემბერში ლენინი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. საზღვარგარეთ, ჟენევაში ლენინი აჩერხებს ბოლშევიკური პარტიული ორგანოს „პროლეტარის" გამოცემას.

ამხანაგი სტალინი V ყრილობის შემდეგ, 1907 წლის ივნისიდან პარტიის ნებით გადადის სამუშაოდ ბაქოში — ამიერკავკასიის ყველაზე დიდ სამრეწველო რაიონში და რუსეთის მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრში. აქ ამხანაგი სტალინი გაცხოველებულ მუშაობას ეწევა ლენინის ლოზუნგების გარშემო ბაქოს ორგანიზაციის შესამჭიდროებლად, აჩაღებს ბრძოლას მენშევიკებისა და შენდრიკოველების წინააღმდეგ და ბოლშევიზმის დროშის ქვეშ რაზმავს ბაქოს მუშათა რაიონებს (ბალახანა, ბიბი-ეიბათი, შავი ქალაქი, თეთრი ქალაქი). საუკეთესო იარაღს ამ ბრძოლაში ამხანაგ სტალინის ხელში წარმოადგენდა ბოლშევიკური არალეგალური და ლეგალური ორგანოები — „ბაკინსკი პროლეტარი", „გუდოკი", „ბაკინსკი რაბოჩი". ამ გაზეთებსა და ლენინურ „პროლეტარს" შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა, რაც არ შეწყვეტილა მთელი მათი არსებობის განმავლობაში.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდის ლენინურ-სტალინური გაზეთების სახელოვანი საქმეები განაგრძეს შემდგომი პერიოდის ბოლშევიკურმა გაზეთებმა — „რაბოჩაია გაზეტამ", „ზვეზდამ", „პრავდამ", რომლებმაც დაანთეს რევოლუციური ბრძოლების ხანძარი ცარიზმის, მემამულეთა და კაპიტალისტთა წყობილების წინააღმდეგ. ბოლშევიკური პრესის უდიდესი როლის შეფასება მოგვცა ამხანაგმა სტალინმა „პრავდის" ათი წლისთავთან დაკავშირებით დაწერილ სტატიაში.

„1912 წლის „პრავდა" — ეს საძირკვლის ჩაყრაა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს" — წერდა ამხანაგი სტალინი 1922 წლის 5 მაისს.

საბჭოთა პრესა სიყვარულით ინახავს და ანვითარებს თავის სახელოვან წინაპართა ტრადიციებს.

ქალთა მე-13 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის XI კლასის მოსწავლე **დალი იოსების ასულ იორამაშვილის** გარდაცვალებას.

სტამბა „კომუნისტის" მუშაკთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სოსო იორამაშვილს მისი შვილის **დალის** გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 5, 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 4 ს. ბორჯომის, 6.

ქეთევან, დომენტი ეძგვერაძეები, ქსენია, სამსონ როდონაიები, ირინე, იაკობ დემურიშვილები, ეკატერინე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილები, თამარ, ანტონ კელენჯერიძეები, ვერა, სეით სიმონგულოვები თანაგრძნობას უცხადებენ ქეთო და იოსებ იორამაშვილებს მათი შვილის **დალის** გარდაცვალების გამო.

საშა და გრიშა ასათიანები შვილებით ცაილა და გელათი, ცუცა ლეკვეიშვილი და შოთა ჭედია იუწყებიან დისწულისა და დეიდაშვილის **ოთარ ონისიმეს-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო ცაგარეიშვილი, შვილები რუსუდან, მალხაზ იუწყებიან, რომ 7-V, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ **გრიგოლ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** პანაშვიდი.

დედა კატო, დები ბაბილო, ნუცა სიგუა, ძმა გრიშა ოჯახებით, რძალი იულია ღლონტი შვილებით, დისწულები ზოზო, გურამ კაპანაძეები იუწყებიან **ანიკო პავლეს ასულ გენძეხაძე-ფალავას** გარდაცვალებას.

„საქვაჭრობის" დირექციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მ. გაბუნიას მისი შვილის **ეთერ ნიკოლოზის ასულ გაბუნია-კახიანის** გარდაცვალების გამო.

მშობლები თებრო, სერგო, დები მარო, ნინო, დეიდა კატო, სიძეები დ. ნადაშვილი, გ. ვაშაკიძე, დისწულები ლედი და დათო იუწყებიან, რომ 7-V, 5 ს. ცაგერში დანიშნულია **აკაკი სერგოს-ძე გოგიძის** პანაშვიდი.

დედა ბაბუცა, და ლეილა, ბებია ელენე იუწყებიან **ოთარ ონისიმეს-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 2 ს. კალანდაძის, 3-ა.

ლადო ბარათაშვილი დედით და დით თანაგრძნობას უცხადებს ექიმ ლეილა კობახიძეს მისი დეიდის **სიდა ვასილის ასულ აბულაძე-ლორთქიფანიძის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ნიკოლოზ და ანასტასია, ძმები შოთა და გურამ პატარაძეები იუწყებიან, რომ 7-V, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ნელი ნიკოლოზის ასულ პატარაძის** პანაშვიდი.

დები მარო, ნინო, ჟენია, ძმა მიშა ჩიხლაძეები, სიძეები შალვა ქუთათელაძე და ვანო კუკავაძე იუწყებიან ექიმ **ილია ალექსის-ძე კობალაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე გრიშა, შვილები ნათელა, გივი და ნუგზარ დუმბაძეები, და თეკლე ჭყონია-გრიგოლიასი იუწყებიან **მარო დიმიტრის ასულ ჭყონია-დუმბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V გომში (მახარაძის რაიონი).

მეუღლე ილია, შვილები ავთანდილ, რეზო, რძალი ქეთევან, შვილიშვილები იათამზე, თემური იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **ანა პავლეს ასულ ფალავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 5 ს. ლენინის, 63.

მშობლები ქოზეფინა და ესტატე კუკულაძეები, შვილები ნუნუ, ბიჭიკო წიქორიძეები, ძმა დავით კუკულაძე ოჯახით, დები პისტო ბარაბაძე, ფეოდორა კვერკველია, ეკატერინე კვიტაიშვილი, ნინო თოიძე, მარგარიტა წილოსანი ოჯახებით იუწყებიან, რომ 7-V, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მარო კუკულაძის** პანაშვიდი.

სამტრესტის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. რ. ჩიხლაძეს მისი ძმის **ილია ალექსის-ძე კობალაძის** გარდაცვალების გამო.

ე. ნიკოლაიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, ჯ. სვანიშვილი, ნ. გუდაძე, ლ. სულაქველიძე, ვ. სულაქველიძე, გ. გოგუაძე, ს. ნასიძე, ო. ლეჟავა თანაგრძნობას უცხადებენ ზაალ კახიანს მისი მეუღლის **ეთერ ნიკოლოზის ასულ გაბუნია-კახიანის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ავქსენტი, შვილები ლენა, ემა, ირაკლი აფხაზავები იუწყებიან, რომ 7-V, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო სერგოს ასულ აფხაზავას** პანაშვიდი.

მეუღლე იასონი, შვილები ნინო, ეთერი, თამაზი, მაზლები მათე, ფილიპე მხატვრები, ძმები ბენია, სანდრო სალუქვაძეები, და ნინა ვაშაყმაძე, სიძე თ. მასხარაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ 7-V, 5 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ლეო კონსტანტინეს ასულ სალუქვაძე-მხატვარის** პანაშვიდი.

მეუღლე ანასტასია, და ქეთევან, შვილები ნინო, ნიკოლოზ, მაქსიმე, ვალენტინა, იულია, ოთარ, რძლები ზინა, ბოდო, სიძეები ს. კიკნაძე, დ. რაზმაძე შვილებით იუწყებიან **ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე ჩხენკელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V წულუკიძეში.

დეიდები მარიამ რამიშვილი, რახილ ჩოხელაშვილი, ძაბუნა კალანდაძე, ბიცოლა ქსენია კალანდაძე, დეიდაშვილები თამარ, სანათო, ვანო, გივი, ოთარ, ბიძაშვილები თორნიკე, გურამ, რძლები სარა, მერი, რუსიკო, სიძე ილია ნასიძე იუწყებიან **ილია ალექსის-ძე კობალაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მართა, შვილები გივი, ნათელა, სილვა, რძალი ნუნუ, დები მარო გორდელაძე და ელენე ჯანაშია, სიძე ბენედიქტე ბარამიძე შვილებით, ლეილა და კლარა თავართქილაძეები, დისწული ნინო ჩიგოგიძე იუწყებიან **ანტონ მაქსიმეს-ძე მუჯირის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V, მახარაძეში.

მეუღლე სარდიონ, შვილები შოთა და ივანე, რძალი ჩიტო, შვილიშვილი ქეთო იუწყებიან **ლიდა ნიკოლოზის ასულ ჭელენიძე-დაჭავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-V, 7 ს. გამოსვენება 7-V, 3 ს. დეპოს, 17 (ლენრაიონი).

სამხრეთ-ზაგოტზერნოს საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები თანაგრძნობას უცხადებენ მ. მჭედლიშვილს მისი მეუღლის **ალექსანდრე მჭედლიშვილის** გარდაცვალების გამო.

ტრესტ „საქკომუნმშენის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გ. შავდიას **ქრისტინე გაბისონიას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე სოფიო უთმელიძე, შვილები თამარ, შოთა, მარგარიტა, რძალი ნადია, შვილიშვილი შოთა იუწყებიან **ილარიონ ეგნატეს-ძე ივანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-V, 8 ს. გამოსვენება 6-V, 6 ს. გორკის 11 ჩიხი, 10.

ლევან ჯაფარიძე ოჯახით იუწყება ბიძის **რევაზ სიმონის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას.

მე-2 სამშობიარო სახლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ტ. კახიანს მისი რძლის **ეთერის** გარდაცვალების გამო.

ბ. თათარიშვილი, მ. შაიშმელაშვილი, შ. ბოცვაძე, შ. გადილია, ა. გაბიჩვაძე, ი. თოდუა, ნ. ფხალაძე, ქ. კორძაია, დ. ბახტაძე, ი. მეგრელიშვილი, კ. კაპანაძე, ქ. ინასარიძე, ნ. ნატროშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ალიოშა ცინცაძეს მისი დედის **რებეკა ლუკას ასულ ცინცაძის** გარდაცვალების გამო.

შერმადინ, დიმიტრი, დავით, თეო, სიმონ შაფაქიძეები ოჯახებით იუწყებიან **მარიამ დუმბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V გომში (მახარაძის რაიონი).

თბილისის № 23 აფთიაქის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ფლორა და ალექსი მენაბდეებს მათი მამის **ნიკოლოზ მჭედლიშვილის** გარდაცვალების გამო.

ც. სვანიძე, ლ. კახიანი, ლ. გოგუაძე, ლ. ლოლუა, ლ. ჭელიძე, ლ. ქავთარაძე, ნ. აბესაძე, მ. სინაურიძე, ე. გოჩიაშვილი, დ. კანდელაკი, ი. ოგანეზოვა თანაგრძნობას უცხადებენ ალეკო კობალაძეს მისი მამის **ილიკოს** გარდაცვალების გამო.

ოლღა, თამარ, გუგული, ნიკოლოზ, ალექსანდრე და ირაკლი მესხები, ელენე ქუთათელაძე, კიტუსია მაჭარაძე, ვანო ვეფხვაძე ოჯახებით იუწყებიან **სიდა ვასილის ასულ აბულაძის** გარდაცვალებას.

ს. ხარაბაძე, ჰ. ჯანჯღავა, პ. სარაჯიშვილი, ვ. ჭანიშვილი, ს. მჭედლიშვილი, ლ. აბელედიანი, ვ. ჯიშკარიანი, ო. ლორთქიფანიძე, ს. დადივაძე, მ. კიკნაძე, ა. ხოშტარია, ქ. ხელაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ი. ლორთქიფანიძეს მისი მეუღლის **სიდა ვასილის ასულ აბულაძე-ლორთქიფანიძის** გარდაცვალების გამო.

„საქვაჭრობის" დირექციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ნ. ჩხენკელს მისი მამის **ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე ჩხენკელის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00150